

# ევროპული სამართალი

(ლექციების კურსი)

თსუ, ასოცირებული პროფესორი გაგა გაბრიჩიძე

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

LL.M. Eur. (ზაარბრიუკენი)

თბილისი

2009

## ევროპის ინტეგრაციის განვითარება

- „ევროპის“ ცნება - ატლანტის ოკეანესა და ურალს შორის, ჩრდილოეთის ზღვასა და ხმელთაშუა ზღვას შორის მდებარე ტერიტორია
- „ევროპის სამართლის“ ცნება – მოიცავს ევროპულ კავშირს, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციის და არა მისი წევრ-სახელმწიფოების სამართალს.

### ინტეგრაციის მოტივები:

ევროპული ინტეგრაციის იდეების წარმოშობა ისტორიულად სხვადასხვა მოტივით იყო განპირობებული:

**\* იდეა: მშვიდობის შენარჩუნება ევროპული ინტეგრაციის საშუალებით -**

Pierre Dubois: „De recuperatione terrae sanctae“ (1305-1307).

Immanuel Kant: „მარადი მშვიდობისათვის“ (1795) - ითხოვდა ევროპული სახელმწიფოების კონფედერაციას რესპუბლიკური მმართველობის წესით.

Victor Hugo: 1849 წელს წამოაყენა ევროპის შეერთებული შტატების იდეა.

**\* იდეა: ევროპა, როგორც მესამე დიდი სახელმწიფო რუსეთსა და ამერიკის შემდეგ -**

Coudenhove-Calergi: დაარსა 1923 წელს პანევროპული მოძრაობა, რომელსაც მიზნად ჰქონდა ევროპის შეერთებული შტატების დაარსების იდეის გავრცელება.

**\* იდეა: სუვერენიტეტის შეზღუდვა ზეეროვნული ორგანიზაციის სასარგებლოდ -**

Anton Marini: 1462 წელს შექმნა საერთაშორისო ხელშეკრულების პროექტი, რომელიც რამდენიმე გერმანული სამეფოსა და ვენეციის კავშირს ითვალისწინებდა.

William Penn: 1693 წელს განავითარა ევროპული რაიხსტაგის შექმნის იდეა.

Abbé de Saint Pierre: 1713 წელს შექმნა ევროპული სენატის პროექტი.

Ernest Renan: 1882 წელს თავის ნაშრომში „რა არის ერი?“ იწინასწარმეტყველა ეროვნული სახელმწიფოების ერთიანი ევროპული კონფედერაციის შექმნა.

**\* იდეა: ინტეგრაცია ვაჭრობის განვითარებისათვის**

Emeric Crucé: 1623 წელს განავითარა სექტორული ინტეგრაციის იდეა.

### ევროპული გაერთიანების შექმნის საწყისები:

1942 წელს ლონდონში პოლონეთის დევნილი მთავრობის პრეზიდენტის სიკორსკის ინიციატივით პირველად განიხილეს ევროპული გაერთიანების დაფუძნების შესაძლებლობა, რომელიც ევროპული სახელმწიფოებისაგან შემდგარი ფედერაცია ერთიანი დემოკრატიული კონსტიტუციით უნდა ყოფილიყო; სტალინმა უარყო ეს იდეა.

1946 წლის 19 სექტემბერი - უინსტონ ჩერჩილმა წარმოთქვა ციურისში სიტყვა, რომელშიც მან ევროსაბჭოს და ევროპის შეერთებული შტატების შექმნა მოითხოვა.

1944 წელს ჟან მონემ განავითარა იდეა გერმანული და ფრანგული მეტალურგიული მრეწველობისა და ნახშირის მომპოვებელი ინდუსტრიის ზეეროვნულ საწყისებზე გაერთიანების შესახებ.

### **\* პარალელური მოვლენები:**

1948 წელს დაარსდა დასავლეთ-ევროპული კავშირი (WEU).

1948 წელს დაარსდა ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია (დღეს - ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაცია).

1949 წლის 4 აპრილს დაარსდა ჩრდილოატლანტიკური ალიანსი.

1949 წლის 5 მაისს დაარსდა ევროპის საბჭო.

### **\* ნფგე-ს დაარსება**

1950 წლის 9 მაისს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა შუმანმა წარმოადგინა მისი სახელობით ცნობილი გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანების დაარსებას. დამფუძნებელი ხელშეკრულება ხელმოწერილი იქნა პარიზში 1951 წლის 18 აპრილს. ხელშეკრულების მხარეებს საფრანგეთი, გერმანია, იტალია და ბენელუქსის სახელმწიფოები წარმოადგენდნენ. ხელშეკრულება ძალაში შევიდა 1952 წლის 28 ივლისს.

### **\* ფუნქციონალიზმის (გარკვეული სფეროების ინტეგრაცია) სტრატეგია**

1956 წლის 19 მაისს ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანების ექვსმა წევრ-სახელმწიფომ დაიწყო მოლაპარაკება ევროპული ეკონომიკური გაერთიანებისა და ატომური ენერგიის დარგში ევროპული გაერთიანების შექმნის შესახებ.

1957 წლის 25 მარტს რომში ხელი მოეწერა ამ გაერთიანებების დაფუძნების შესაბამის ხელშეკრულებებს (ე.წ. „რომაული ხელშეკრულებები“), რომლებიც 1958 წლის 1 იანვარს შევიდნენ ძალაში. ვალტერ ჰალშტაინი გახდა ევროპული ეკონომიკური გაერთიანების კომისიის პირველი პრეზიდენტი.

### **\* EFTA-ს დაარსება**

დიდმა ბრიტანეთმა დანიასთან, ნორვეგიასთან, ავსტრიასთან, შვეიცარიასთან და შვედეთთან ერთად 1960 წლის 4 იანვარს შექმნა ევროპული თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია (EFTA), რომელსაც 1961 წელს ფინეთი, როგორც ასოცირებული წევრი, და 1970 წელს ისლანდია, როგორც სრულუფლებიანი წევრი, შეუერთდნენ. დიდ ბრიტანეთს EFTA ესახებოდა ევროპული გაერთიანებების მისაღებ ალტერნატივად, რადგანაც ამ შემთხვევაში ხდებოდა სავაჭრო ბაზრის გაზრდა სუვერენიტეტის შეზღუდვის გარეშე.

### **ევროპული ინტეგრაციის განვითარების ეტაპები**

სამ ევროპულ გაერთიანებას შორის ინსტიტუციონალური კავშირი თავდაპირველად გამოიხატებოდა სამივე გაერთიანებისათვის საერთო სასამართლოთი (ევროპული სასამართლო) და საერთო „კრებით“ (დღეს - ევროპული პარლამენტი). რაც შეეხება კომისიას და საბჭოს, თითოეულ ევროპულ გაერთიანებას საკუთარი საბჭო და კომისია გააჩნდა.

1965 წელი – ე.წ. „შერწყმის ხელშეკრულებით“ შეიქმნა ყველა გაერთიანებისათვის საერთო კომისია და საბჭო.

1986 წელი - „ერთიანი ევროპული აქტი“ - ინტეგრაციის პროცესის ახალი იმპულსი: ცვლილებები გადაწყვეტილების მიღების პროცედურაში; შიდა ბაზრის ჩამოყალიბების საბოლოო ვადად 1992 წლის 31 დეკემბრის დადგენა.

1992 წელი - მაასტრიხტის ხელშეკრულება (რეფორმები) - ევროპული კავშირის შექმნა, ევროპული კავშირის სამ სვეტიანი სტრუქტურა.

1997 წელი - ამსტერდამის ხელშეკრულება (რეფორმები)

1999 წელი - ნიცის ხელშეკრულება (რეფორმები)

2004 წელი – ხელი მოეწერა ევროპის კონსტიტუციას (ძალაში არ შესულა)

2007 წლის 13 დეკემბერი – ხელი მოეწერა რეფორმირების ხელშეკრულებას (ლისაბონის ხელშეკრულება).

2009 წლის 1 დეკემბერი – ძალაში შევიდა ლისაბონის ხელშეკრულება.

### ევროპის გაერთიანების გაფართოების ეტაპები

1972 - გაფართოება ჩრდილოეთის მიმართულებით (დიდი ბრიტანეთი, დანია, ირლანდია)

1981-1986 - გაფართოება სამხრეთის მიმართულებით (1981 - საბერძნეთი, 1986 - ესპანეთი და პორტუგალია)


1995 - გაფართოება აღმოსავლეთის მიმართულებით (ავსტრია, შვედეთი, ფინეთი)

2004 წლის 1 მაისს ევროპული გაერთიანების წევრები გახდნენ კვიპროსი, ჩეხეთის რესპუბლიკა, ესტონეთი, უნგრეთი, ლატვია, ლიტვა, მალტა, პოლონეთი, სლოვაკეთის რესპუბლიკა და სლოვენია

2007 წლის 1 იანვარს ევროპული გაერთიანების წევრები გახდნენ რუმინეთი და ბულგარეთი.

## ევროპული კავშირი

2009 წლის 1 დეკემბრამდე, ანუ ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე, ევროპული კავშირის სტრუქტურა შემდეგნაირად გამოიყურებოდა:



EU – European Union – ევროპული კავშირი

EC – European Community – ევროპული გაერთიანება

Euratom - European Atomic Energy Community – ატომური ენერგიის დარგში ევროპული გაერთიანება

CFSP - Common Foreign and Security Policy - საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა

(PJC) Police and Judicial Co-operation in Criminal Matters – პოლიციისა და იუსტიციის თანამშრომლობა სისხლის სამართლებრივ საკითხებში

შენიშვნა: 2002 წლის 23 ივლისამდე პირველი საყრდენის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა კიდევ ერთი - ქვანახშირისა და ფოლადის - ევროპული გაერთიანება (ECSC - European Coal and Steel Community), რომელიც 1952 წლის 23 ივლისს დაფუძნდა და რომლის არსებობა 50 წლით იყო განსაზღვრული. 2002 წლის 24 ივლისიდან ის საკითხები, რომლებსაც აღნიშნული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულება მოიცავდა, ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების მოქმედების სფეროში გადავიდა.

ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე, ევროპული კავშირი ევროპული გაერთიანებებისაგან განსხვავებით არ წარმოადგენდა სამართლის სუბიექტს. ევროპულ კავშირს ჰქავდა ხელშემკრელი მხარეები და არა წევრ-სახელმწიფოები.

მას გააჩნია მხოლოდ და მხოლოდ სამი „სუბიექტის“ ურთიერთკოჰერენტულობის ორგანიზირების მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობა.

ევროპული გაერთიანებები, რომლებიც ევროპული კავშირის პირველ საყრდენს შეადგენდნენ, წარმოადგენდნენ არა ჩვეულებრივ საერთაშორისო ორგანიზაციებს, არამედ მათ გააჩნდათ ზეეროვნული ხასიათის უფლებამოსილებები. ზეეროვნულობის ცნება მოიცავს სახელმწიფოთა გაერთიანებების გარკვეულ კატეგორიას, რომელთა წევრ-სახელმწიფოებისაგან დამოუკიდებლობისა და

ინტეგრაციული ინტენსიურობის განსაკუთრებული ხარისხი სახელმწიფოთა გაერთიანებების დოგმების არსებული ცნებებით არასაკმარისად განსაზღვრებადია.

პირველი საყრდენისაგან განსხვავებით ევროპული კავშირის მეორე და მესამე საყრდენი მთავრობათაშორისი თანამშრომლობის ტრადიციულ საერთაშორისო სამართლებრივ ფორმას წარმოადგენდნენ, რომელსაც ზეეროვნულობის ელემენტები არ გააჩნდა.

ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ, ზემოაღნიშნულმა სისტემა სახეცვლილება განიცადა. ამჟამად, ევროპული კავშირი სამართალწესრიგი ეფუძნება 3 ძირითად ხელშეკრულებას: ევროპული კავშირის შესახებ ხელშეკრულებას, ევროპული კავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულებას (ყოფილი ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულება) და ატომური ენერგიის დარგში ევროპული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებას. ევროპული კავშირის სამართალსუბიექტობა მიენიჭა და იგი როგორც ზეეროვნულ, ასევე სამთავრობათაშორისო თანამშრომლობის ელემენტებს მოიცავს.

ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შედეგად მოხდა ევროპული გაერთიანებისა და ევროპული კავშირის შერწყმა. თუმცა შეიძლება ამ პროცესის სხვაგვარადაც აღწერა: ევროპულმა კავშირმა ევროპული გაერთიანების ამოცანები და ფუნქციები გადაიბარა.

## ევროპული კავშირის ღირებულებები და მიზნები

ევროპული კავშირის ღირებულებები ევროპული კავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-2 მუხლშია მოცემული. ესენია: ადამიანის ღირსების პატივისცემა, თავისუფლება, დემოკრატია, თანასწორობა, სამართლებრივი სახელმწიფო, ადამიანის უფლების დაცვა, პლურალიზმი, დისკრიმინაციის დაუშვებლობა, შემწყნარებლობა, სამართლიანობა, სოლიდარობა და ქალთა და მამაკაცთა თანასწორობა.

ევროპული კავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-3 მუხლში კი მოცემულია ევროპული კავშირის მიზნები, რომელთა შორისაა ეკონომიკის ზრდა, ფასების სტაბილურობა, სოციალური საბაზრო ეკონომიკა, მშვიდობის ხელშეწყობა, შიდა ბაზრის შექმნა, გარემოს დაცვა, სოციალური სამართლიანობა, კულტურული მრავალფეროვნება და ა.შ.

## ევროპის კავშირის ორგანოები და სხვა დაწესებულებები

### 1) ზოგადი დებულებები

ევროპული კავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-13 მუხლში ჩამოთვლილია ევროპული კავშირის ორგანოები. ესენია:

- ევროპული პარლამენტი;
- ევროპული საბჭო;
- საბჭო;
- ევროპული კომისია;
- ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლო;
- ევროპული ცენტრალური ბანკი და
- კონტროლის პალატა.

თავიდან თითოეული ევროპული გაერთიანებისათვის ცალკე შექმნილი კომისიები და საბჭოები 1965 წელს ე.წ. შერწყმის ხელშეკრულებით გაერთიანდნენ. მას შემდეგ არსებობდა სამი გაერთიანებისათვის საერთო კომისია და საბჭო.

ორგანოების ადგილმდებარეობა:

- საბჭო და კომისია - ბრიუსელში; აპრილში, იენისსა და ოქტომბერში საბჭო სხდომებს ატარებს ლუქსემბურგში.
- ევროპული საბჭო – შეხვედრები ტარდება როგორც წესი ბრიუსელში. განსაკუთრებულ შემთხვევებში კი, ევროპული საბჭოს თავმჯდომარე ქვეყნის რომელიმე ქალაქში.
- სასამართლო და კონტროლის პალატა - ლუქსემბურგში;
- პარლამენტი: წელიწადში 12 პლენარული სხდომა - სტრასბურგში, გენერალური სამდივნო - ლუქსემბურგში, კომიტეტებისა და ფრაქციების სხდომები - ბრიუსელში. გარდა ამისა, ბრიუსელში იმართება ასევე წელიწადში 6 პლენარული სხდომა.

ავთენტური ენებია: ფრანგული, გერმანული, იტალიური, ჰოლანდიური, დანიური, ინგლისური, გალიური, პორტუგალიური, ბერძნული, ესპანური, ფინური, შვედური, ლიტვური, ლატვიური, ესტონური, პოლონური, ჩეხური, სლოვაკური, უნგრული, მალტური, სლოვენური, ბულგარული და რუმინული.

ოფიციალური ენებია: ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ენა.

სამუშაო ენებია: ინგლისური და ფრანგული.

### 2) ევროპული პარლამენტი

1979 წლიდან ტარდება ევროპული პარლამენტის პირდაპირი არჩევნები. პარლამენტს ირჩევენ 5 წლის ვადით (2009 წლის არჩევნებში არჩეულ იქნა 736 დეპუტატი. ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ კი მათი რაოდენობა უნდა გაიზარდოს 751-მდე). თითოეული წევრ-სახელმწიფოდან წარმოდგენილი დეპუტატების დადგენილი რაოდენობა დამოკიდებულია მოცემული წევრ-სახელმწიფოს მოსახლეობის რაოდენობაზე. ასე მაგალითად, ყველაზე მეტი (99) წარმომადგენელი პარლამენტში გერმანიას ჰყავს, ყველაზე ცოტა (5) კი მალტას. ლისაბონის ხელშეკრულების მიხედვით, მომავალში წარმომადგენელთა მაქსიმალური რაოდენობა შეიძლება იყოს 96, ხოლო მინიმალური – 6.

პარლამენტში შექმნილია გენერალური სამდივნო და მუდმივი კომისიები.

დეპუტატები ხმას აძლევენ პირადად და არანაირ შეკვეთას ან მითითებას მესამე მხრიდან არ ასრულებენ. ევროპული პარლამენტის წევრები ფრაქციებს ქმნიან არა ეროვნების, არამედ პოლიტიკური ორიენტაციის მიხედვით.

პარლამენტს გააჩნია 3 ძირითადი ფუნქცია:

- საკანონმდებლო ფუნქცია: იგი ამ ფუნქციას ინაწილებს საბჭოსთან ერთად.
- დემოკრატიული კონტროლის ფუნქცია: კერძოდ, იგი ამტკიცებს კომისიის წევრებს და შეუძლია კომისიისათვის უნდობლობის გამოცხადება.
- ბიუჯეტის დამტკიცების ფუნქცია: იგი საბჭოსთან ერთად ამტკიცებს ბიუჯეტს.

გადაწყვეტილებებს იღებენ უმეტესწილად ჩვეულებრივი უმრავლესობით. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისას არსებობს სპეციალური ქვოტები.

ევროპილი კავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების მიხედვით, არსებობს სამი სახის საკანონმდებლო პროცედურა, რომელშიც პარლამენტი მონაწილეობას იღებს. ესენია:

- სამართლებრივი საფუძველი, რომლის თანახმადაც ევროპული კავშირის სამართლის აქტი ვერ მიიღება, თუკი პარლამენტის მიერ მოხდება მისი უარყოფა (ორდინალური პროცედურა, ყოფილი თანაგადაწყვეტილების პროცედურა);
- სამართლებრივი საფუძველი, რომლის თანახმადაც პარლამენტს მხოლოდ პოზიციის დაფიქსირება შეუძლია (საკონსულტაციო პროცედურა)
- სამართლებრივი საფუძველი, რომლის მიხედვითაც აქტის მისაღებად საჭიროა პარლამენტის თანხმობა (თანხმობის პროცედურა).

ლისაბონის ხელშეკრულებით გაუქმებულ იქნა ე.წ. თანამშრომლობის პროცედურა, რომლის მიხედვითაც პარლამენტის თანხმობის არარსებობისას, საბჭოს ნორმატიული აქტის მიღება მაინც შეეძლო, თუკი იგი ამ აქტს ერთხმად მიიღებდა.

### 3) საბჭო

შედგება თითოეული წევრ-სახელმწიფოს ერთი წარმომადგენლისგან, ანუ სულ 27 წევრისაგან. პრეზიდენტის ფუნქციას ასრულებენ წევრ-სახელმწიფოები რიგ-რიგობით, 6 თვის განმავლობაში.

საბჭო არის პარლამენტთან ერთად მთავარი საკანონმდებლო ორგანო და წევრ-სახელმწიფოების ინტერესების დამცველი და გამტარებელი ევროპული კავშირის დონეზე.

საბჭოს ძირითად კომპეტენციებს წარმოადგენს:

- ნორმშემოქმედებითი საქმიანობა
- კომპეტენცია ბიუჯეტის საკითხებში
- თანამონაწილეობა საგარეო ურთიერთობებში
- აღმასრულებელი ფუნქციები
- კომპეტენციები ორგანოთა შემადგენლობის განსაზღვრასთან დაკავშირებით
  - კონტროლის პალატის წევრთა დანიშვნა;
  - ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა ევროპული კომიტეტის წევრთა დანიშვნა;
  - რეგიონების კომიტეტის წევრთა დანიშვნა.

საკითხების მიხედვით საბჭოს სხვადასხვა შემადგენლობით იკრიბება. საგარეო საქმეთა მინისტრების შემადგენლობით ევროპული კავშირის საბჭოს თავმჯდომარეობს **საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში კავშირის უმაღლესი წარმომადგენელი**, რომელსაც ამასთან ხმის უფლება არ გააჩნია.

საბჭოში გადაწყვეტილებების მიღებისას არსებობს ხმის მიცემის სპეციალური ქვოტები. გადაწყვეტილების მიღება ხდება ჩვეულებრივი უმრავლესობით, კვალიფიციური უმრავლესობით\* ან ერთხმად.

| ხმათა რაოდენობა ევროპის კავშირის საბჭოში |    |
|------------------------------------------|----|
| გერმანია                                 | 29 |
| საფრანგეთი                               | 29 |
| დიდი ბრიტანეთი                           | 29 |
| იტალია                                   | 29 |
| ესპანეთი                                 | 27 |
| პოლონეთი                                 | 27 |
| რუმინეთი                                 | 14 |
| ნიდერლანდები                             | 13 |
| საბერძნეთი                               | 12 |
| პორტუგალია                               | 12 |
| ბელგია                                   | 12 |
| ჩეხეთის რესპუბლიკა                       | 12 |
| უნგრეთი                                  | 12 |
| შვედეთი                                  | 10 |
| ავსტრია                                  | 10 |
| ბულგარეთი                                | 10 |
| დანია                                    | 7  |
| სლოვაკეთი                                | 7  |
| ფინეთი                                   | 7  |
| ირლანდია                                 | 7  |
| ლიტვა                                    | 7  |
| ლატვია                                   | 4  |
| სლოვენია                                 | 4  |
| ესტონეთი                                 | 4  |
| კვიპროსი                                 | 4  |
| ლუქსემბურგი                              | 4  |
| მალტა                                    | 3  |

\***კვალიფიციური უმრავლესობა** = კომისიის წინადადების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებისას, კვალიფიციური უმრავლესობით გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუკი გადაწყვეტილების მიღებას მხარს დაუჭერს წევრ სახელმწიფოთა უმრავლესობა და იმავდროულად საჭიროა 255 ხმა 345 ხმიდან. სხვა შემთხვევაში საჭიროა ასევე 255 ხმა 345 ხმიდან, თუმცა ამასთან წევრ სახელმწიფოთა 2/3-ის თანხმობა.

გარდა ამისა, ნებისმიერ წევრ სახელმწიფოს შეუძლია მოითხოვოს იმის შემოწმება, წარმოადგენს თუ არა მიცემული ხმების რაოდენობა ევროპის გაერთიანების მთელი მოსახლეობის 62%-ს. თუკი ეს ასე არ არის, გადაწყვეტილება მიღებულად არ ჩაითვლება.

ლისაბონის ხელშეკრულების მიხედვით, 2017 წლიდან შემოდგომულ იქნება კვალიფიციური უმრავლესობის ახალი რეჟიმი. კერძოდ, გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი იქნება შემდეგი კრიტერიუმების დაკმაყოფილება: წევრი სახელმწიფოების 55 პროცენტი, რომელიც ამასთან ევროპული კავშირის მოსახლეობის 65 პროცენტს წარმოადგენს.

#### 4) წევრი სახელმწიფოების მუდმივ წარმომადგენელთა კომიტეტი

მისი ფუნქციაა საბჭოს საკანონმდებლო მუშაობის ორგანიზება. წევრები არიან წევრ-სახელმწიფოების ელჩები ევროპის გაერთიანებასთან.

## 5) ევროპული საბჭო

შედგება წევრი სახელმწიფოების სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურებისაგან, კომისიის პრეზიდენტისაგან და ევროპული კავშირის პრეზიდენტისაგან. ამასთან კომისიის პრეზიდენტს და ევროპული კავშირის პრეზიდენტს ხმის უფლება არ გააჩნია.

განსაზღვრავს ევროპული კავშირის ძირითად პოლიტიკურ მიმართულებებს.

ევროპული საბჭო ორნახევარი წლის ვადით ირჩევს ევროპული კავშირის პრეზიდენტს, რომელიც ევროპული საბჭოს მუშაობას უწევს კოორდინაციას.

## 6) საბჭოში გაერთიანებული წევრ-სახელმწიფოების წარმომადგენლები

შედგება წევრი სახელმწიფოების სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურებისაგან ან საგარეო საქმეთა მინისტრებისაგან. აბრევიატურა გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც იდება საერთაშორისო ხელშეკრულებები.

## 7) ევროპული კომისია

შედგება 27 კომისრისაგან; წარმოადგენს დამოუკიდებელ ორგანოს. კომისიის პრეზიდენტისა და წევრების დასახელება ხდება წევრი სახელმწიფოების მიერ, თუმცა მათ ამტკიცებს ევროპული პარლამენტი.

კომისია წარმოადგენს „ინტეგრაციის ძრავას“ და „ევროპული კავშირის სამართლის მცველს“. მას აქვს საკანონმდებლო ინიციატივის მონოპოლია და საშუალებები, სარჩელი შეიტანოს ევროპული კავშირის სასამართლოში წევრი სახელმწიფოების მიერ ევროპული კავშირის სამართლის დარღვევის შემთხვევაში. იგი არის ევროპული კავშირის წარმომადგენელი საგარეო ურთიერთობებში და ასრულებს აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქციას.

## 8) ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლო

ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლო მოიცავს მართლმსაჯულების სასამართლოს, ზოგადი სასამართლოს (ყოფილი პირველი ინსტანციის სასამართლო) და საჯარო სამსახურის სასამართლოს.

მართლმსაჯულების სასამართლო შესდგება 27 მოსამართლისაგან და 8 გენერალური ადვოკატისაგან. მოსამართლეები ინიშნებიან 6 წლით და მათი ამ ვადის გასვლის შემდეგ ხელახლა დანიშნა ასევე არის შესაძლებელი. გენერალური ადვოკატები სასამართლოს სრულფასოვანი წევრები არიან და მათ მოსამართლეების იდენტური სამართლებრივი სტატუსი გააჩნიათ. და მათი ფუნქციაა სასამართლოში განსახილველ საქმეზე წერილობითი ფორმით შეხედულების მომზადება

ზოგადი სასამართლოს შემადგენლობაში ასევე შედის თითოეული წევრი სახელმწიფოდან ერთი მოსამართლე. მისი მოსამართლეებიც 6 წლის ვადით ინიშნებიან. ამ ვადის გასვლის შემდეგ მათი ხელახლა დანიშნა ასევე არის შესაძლებელი. მართლმსაჯულების სასამართლოსგან განსხვავებით ზოგად სასამართლოს საკუთარი გენერალური ადვოკატები არ გააჩნია.

ზოგადი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს მართლმსაჯულების სასამართლოში. თუმცა ამ შემთხვევაში ამ უკანასკნელის კომპეტენციაში შედის მხოლოდ და მხოლოდ ზოგადი სასამართლოს კომპეტენციის, მის მიერ პროცედურისა ან/და ევროპული კავშირის სამართლის დარღვევის შემოწმება.

საჯარო სამსახურის სასამართლოს შედგება 7 მოსამართლისგან, რომლებიც 6 წლის ვადით იქნენ დანიშნულნი. მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება (იმავე სახის შეზღუდვებით, როგორც ეს ხდება ზოგადი სასამართლოს გადაწყვეტილების

მართლმსაჯულების სასამართლოში გასაჩივრებისას) გასაჩივრებულ იქნეს ზოგად სასამართლოში.

ევროპული კავშირის სასამართლო სისტემაში განიხილება შემდეგი სახის დავები:

- დავები ევროპის კავშირის ორგანოებს შორის;
- დავები ევროპის კავშირის ორგანოებსა და წევრ სახელმწიფოებს შორის;
- დავები წევრ სახელმწიფოებს შორის;
- დავები იურიდიულ და ფიზიკურ პირთა და ევროპული კავშირის ორგანოებს შორის.

## 9) კონტროლის პალატა

შესდგება 27 წევრისაგან.

## 10) ეკონომიკური და სოციალური საკითხების კომიტეტი

შესდგება 344 წევრისაგან.

## 11) რეგიონების კომიტეტი

შესდგება 344 წევრისაგან.

## 12) ევროპული საინვესტიციო ბანკი

მდებარეობს ლუქსემბურგში

## 13) ევროპული ცენტრალური ბანკი

მდებარეობს ფრანკფურტში.

## ევროპის კავშირის სამართლის წყაროები

### ა) სამართლის პირველადი წყაროები

ევროპული კავშირის პირველადი სამართალი მოიცავს კავშირის კონსტიტუციური ხასიათის დებულებების შემცველ ხელშეკრულებებს. კერძოდ:

- ხელშეკრულებას ევროპული კავშირის შესახებ - დადებულ იქნა 1992 წლის 7 თებერვალს;
- ევროპული კავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულებას (ყოფილი ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულება) - დადებულ იქნა 1957 წლის 25 მარტს;
- ატომური ენერგიის ევროპული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებას - დადებულ იქნა 1957 წლის 25 მარტს;
- წვერი სახელმწიფოების მიერ ევროპული გაერთიანებების დამფუძნებელ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებებს და შეთანხმებული ოქმებს;
- ევროპული გაერთიანებების დამფუძნებელ ხელშეკრულებებში შეტანილ ცვლილებებს (მაგ. შერწყმის ხელშეკრულება (1965), ევროპულ კავშირში გაწევრიანების ხელშეკრულებები, ერთიანი ევროპული აქტი (1986), ამსტერდამის ხელშეკრულება (დადებულ იქნა 1997 წლის 2 ოქტომბერს), ნიცის ხელშეკრულება (დადებულ იქნა 2001 წლის 26 თებერვალს) და ლისაბონის ხელშეკრულებას (დადებულ იქნა 2007 წლის 13 დეკემბერს);
- წვერი სახელმწიფოების მიერ ევროპული კავშირის შესახებ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადებები და შეთანხმებული ოქმებს;
- მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს მიერ განვითარებულ საყოველთაო სამართლებრივ პრინციპებსა (ძირითადი უფლებები და ადმინისტრაციული პროცედურების გარანტიები) და კავშირის ჩვეულებით სამართალს.

### ბ) სამართლის მეორადი წყაროები

სამართლებრივი აქტები, რომლებიც გამოცემულია ევროპული კავშირის რომელიმე ან რამდენიმე ორგანოს მიერ და რომელიც ეყრდნობა კავშირის პირველადი სამართლის რომელიმე ნორმას. ესენია: რეგულაცია, დირექტივა, გადაწყვეტილება, რეკომენდაცია, შეხედულება.

#### • რეგულაცია

რეგულაცია არის საყოველთაო მოქმედების, ყველა ნაწილში სავალდებულო ძალის და მოქმედებს თითოეულ წევრ-სახელმწიფოში უშუალოდ.

საყოველთაო მოქმედება ნიშნავს, რომ რეგულაცია არეგულირებს ზოგადად და აბსტრაქტულად განუსაზღვრელი რაოდენობის კონკრეტული სახის სამართლებრივ ურთიერთობებს. იგი ასრულებს კანონის მატერიალურ წინაპირობებს და შესაბამისად სავალდებულოა მის ყველა ნაწილში.

უშუალო მოქმედება ნიშნავს, რომ რეგულაცია ძალაში შესვლის შემდეგ მოქმედებს წევრ სახელმწიფოებში (წვერი სახელმწიფოსათვის და წვერ სახელმწიფოებში მცხოვრები პირებისათვის) ისე, რომ მისი ამოქმედებისათვის არ არის საჭირო წვერი სახელმწიფოს საკანონმდებლო ორგანოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება. ეროვნული სასამართლოები და ადმინისტრაციული ორგანოები ვალდებული არიან გაითვალისწინონ რეგულაციის დებულებები და იგნორირება გაუკეთონ იმ შიდასახელმწიფოებრივ ნორმებს, რომლებიც რეგულაციის დებულებებს ეწინააღმდეგებიან. წვერი სახელმწიფოები ვალდებული არიან თავი შეიკავონ ყველა იმ ქმედებისგან, რომელიც რეგულაციის უშუალო მოქმედებას კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებდა.

- დირექტივა

დირექტივა არის თითოეული წევრი სახელმწიფოსათვის სავალდებულო მისაღწევ მიზანთან დაკავშირებით, მაგრამ ფორმისა და საშუალების არჩევანს აკეთებს წევრი სახელმწიფო დირექტივის შესაბამისი საკანონმდებლო აქტით ეროვნულ სამართალში იმპლემენტაციის გზით.

დირექტივის იმპლემენტაციის ვადა თვით დირექტივაში განისაზღვრება. დირექტივა იმპლემენტირებულ უნდა იქნას იმ ფორმით და საშუალებით, რომელიც ყველაზე გამოსადეგია დირექტივის ეფექტური მოქმედებისთვის.

- გადაწყვეტილება

გადაწყვეტილება სავალდებულოა მხოლოდ იმათთვის, ვისაც ის კონკრეტულად ეხება. ანუ ადრესატი გადაწყვეტილებაში დასახელებულია ან კიდევ ადრესატთა წრე ინდივიდუალიზირებულია.

- რეკომენდაცია და შეხედულება

რეკომენდაცია და შეხედულება ევროპული კავშირის სავალდებულო ძალის არმქონე აქტებია. მათ მიზანს წარმოადგენს ადრესატისათვის პოზიციის დაფიქსირება/გაცნობა.

- მეორადი სამართლის სხვა წყაროები

კავშირის ორგანოების შიდა განაწესები, ევროპული კავშირის მიერ დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებები

*ევროპული კავშირის მიერ დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებები*

*როდესაც ევროპულ კავშირის სურს გახდეს ისეთი ხელშეკრულების მონაწილე, რომლის რეგულირების სფერო სცილდება ევროპული კავშირის კომპეტენციას. ამ შემთხვევაში პრობლემის გადაჭრა ხდება ე.წ. შერეული ხელშეკრულების დადებით.*

*შერეული ხელშეკრულება – საერთაშორისო ხელშეკრულების მხარედ ევროპულ კავშირსა და მესამე სახელმწიფოებთან ერთად ევროპული გაერთიანების წევრი სახელმწიფოებიც გამოდიან.*

## ევროპული კავშირის ძირითადი ნორმატიული აქტების კატალოგი

| ნორმატიული აქტი                                               | აღრესატები                                                                                                | მოქმედება                       |
|---------------------------------------------------------------|-----------------------------------------------------------------------------------------------------------|---------------------------------|
| <u>რეგულაცია</u><br>ეკუხ-ს მ. 288 II<br>აქტის-ს მ 161 II      | კავშირის ორგანოები, ყველა წევრი სახელმწიფო და წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე მცხოვრები პირი             | ყველა ნაწილში სავალდებულო       |
| <u>დირექტივა</u><br>ეკუხ-ს მ. 288 III<br>აქტის-ს მ 161 III    | ყველა ან კონკრეტული წევრი სახელმწიფო                                                                      | სავალდებულო მხოლოდ დაკავშირებით |
| <u>გადაწყვეტილება</u><br>ეკუხ-ს მ. 288 IV<br>აქტის-ს მ 161 IV | კონკრეტული წევრი სახელმწიფო ან კონკრეტული პირები                                                          | ყველა ნაწილში სავალდებულო       |
| <u>რეკომენდაცია</u><br>ეკუხ-ს მ. 288 V<br>აქტის-ს მ 161 V     | ყველა ან კონკრეტული წევრი სახელმწიფო (გამონაკლის შემთხვევაში ევროპული კავშირის ორგანო ან ცალკეული პირები) | არასავალდებულო                  |
| <u>შეხვედრება</u><br>ეკუხ-ს მ. 288 V<br>აქტის-ს მ 161 V       | კავშირის ორგანო, კონკრეტული წევრი სახელმწიფოები ან აღრესატთა განუსაზღვრელი წრე                            | არასავალდებულო                  |

## ევროპული კავშირის კომპეტენციის საკითხები

სახელმწიფოების საკანონმდებლო ორგანოებისაგან განსხვავებით, რომლებსაც პრინციპში ნებისმიერი საკითხის დარეგულირების მიზნით შეუძლიათ კანონის მიღება და კანონის ფორმის (საკონსტიტუციო კანონი, ორგანული კანონი, “ჩვეულებრივი” კანონი) არჩევა, ევროპული კავშირის საკანონმდებლო ორგანოებს გააჩნია იმ მოცულობის კომპეტენცია, რა მოცულობითაც ეს ხელშეკრულებებში ერთმნიშვნელოვნად არის განსაზღვრული - „**კომპეტენციების მინიჭების შეზღუდვის პრინციპი**“ (ევროპული კავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-5 მუხლის პირველი აბზაცი: კავშირის კომპეტენციების გამიჯვნისათვის მოქმედებს კომპეტენციების მინიჭების შეზღუდვის პრინციპი).

სახელმწიფოებისაგან განსხვავებით ევროპულ კავშირს არ გააჩნია საკუთარი თავისთვის კომპეტენციების მინიჭების კომპეტენცია. მისი უფლებამოსილების არეალის გაფართოება შესაძლებელია მხოლოდ ხელშეკრულებებში ცვლილების შეტანის გზით, რაც თავის მხრივ ყველა წევრი სახელმწიფოს თანხმობას მოითხოვს.

არსებობს სფეროები, რომლებიც ევროპული კავშირის განსაკუთრებულ კომპეტენციას მიეკუთვნება და სფეროები, რომლებიც ევროპული კავშირის და წევრი სახელმწიფოების ერთობლივ კომპეტენციას მიეკუთვნება.

**განსაკუთრებული კომპეტენციები:** თუკი ევროპული კავშირს გააჩნია განსაკუთრებული კომპეტენცია რომელიმე კონკრეტულ სფეროში, წევრ სახელმწიფოებს არ აქვთ უფლება დაადგინონ ამ სფეროს მარეგულირებელი ნორმები, თუნდაც ევროპული კავშირის უმოქმედობის შემთხვევაში. მხოლოდ ევროპული კავშირის მხრიდან მათთვის შესაბამისი უფლებამოსილების მინიჭების შემთხვევაში შეუძლიათ წევრ სახელმწიფოებს გარკვეული ღონისძიებების გატარება მოცემულ სფეროში.

ევროპული კავშირის განსაკუთრებული კომპეტენციის სფეროებს მიეკუთვნება, სავაჭრო პოლიტიკა, შიდა ბაზრის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი კონკურენციის წესების დადგენა, სავალუტო პოლიტიკა და თევზჭერის პოლიტიკის ის ნაწილი, რომელი ზღვის ბიოლოგიური რესურსების დაცვას ეხება.

ევროპული სასამართლო განსაკუთრებულ კომპეტენციად ასევე მიიჩნევს ერთობლივ კომპეტენციას იმდენად, რამდენადაც იგი გამოყენებულ იქნა ევროპული კავშირის მიერ. ეს ნორმა ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ ევროპული კავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების მეორე მუხლის მე-2 აბზაცში, აისახა.

**ერთობლივი (კონკურირებადი) კომპეტენციები:** ერთობლივი კომპეტენციის შემთხვევაში წევრ-სახელმწიფოები არიან უფლებამოსილნი, ვიდრე და რამდენადაც ევროპულ კავშირს არ უსარგებლია მოცემული კომპეტენციით.

ერთობლივი კომპეტენციის შემთხვევაში მნიშვნელოვანია სუბსიდიარობის პრინციპის დაცვა. ევროპული კავშირი იმ სფეროებში, რომლებშიც მას განსაკუთრებული კომპეტენცია არ გააჩნია, მხოლოდ იმ შემთხვევაში განახორციელებს თავის უფლებამოსილებას, თუკი შესაბამისი ღონისძიებებით დასახული მიზნის მიღწევა წევრი სახელმწიფოების დონეზე არაჯეროვნად არის

შესაძლებელი და თავისი მოცულობისა და ეფექტის გამო ევროპული კავშირის დონეზე უფროა შესაძლებელი.

ერთობლივი კომპეტენციის სფეროებს მიეკუთვნება, მაგალითად, სატრანსპორტო პოლიტიკა, ენერგეტიკული პოლიტიკა, შიდა ბაზარი და ა.შ.

ევროპული კავშირი თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს სუბსიდიარობისა თანაზომიერების პრინციპის დაცვის საფუძველზე.

სუბსიდიარობის პრინციპის მიხედვით, ევროპული კავშირი იმ სფეროებში, რომლებშიც მას განსაკუთრებული კომპეტენცია არ გააჩნია, მხოლოდ იმ შემთხვევაში განახორციელებს თავის უფლებამოსილებას, თუკი შესაბამისი ღონისძიებებით დასახული მიზნის მიღწევა წევრი სახელმწიფოების დონეზე არაჯეროვნად არის შესაძლებელი და თავისი მოცულობისა და ეფექტის გამო გაერთიანების დონეზე უფროა შესაძლებელი.

თანაზომიერების პრინციპის მიხედვით, ევროპული კავშირის მიერ განხორციელებული ღონისძიებები არ უნდა სცდებოდნენ ხელშეკრულებით დადგენილი მიზნების ფარგლებს.

**თანაზომიერების პრინციპი, თავის მხრივ, მოიცავს 3 კომპონენტს:**

- **საჭიროება** – ევროპული კავშირის ქმედება საჭირო უნდა იყოს დასახული მიზნის მისაღწევად და არ უნდა სცილდებოდეს ამ მიზნის მიღწევისათვის აუცილებელ ფარგლებს;
- **გამოსადეგობა** – ევროპული კავშირის ქმედება უნდა იყოს გამოსადეგი ლეგალური მიზნის მისაღწევად;
- **თანაზომიერება ვიწრო გაგებით** – უნდა არსებობდეს გარკვეული თანაფარდობა მხარდაჭერილ და ხელყოფილ სამართლებრივ ინტერესებს შორის.

იმ თვალსაზრისით, თუ როგორ ხდება ევროპული კავშირისთვის უფლებამოსილების მიკუთვნება, განასხვავებენ უფლებამოსილების 3 ტიპს:

- **დაწერილი კომპეტენცია;**
- **ნაგულისხმევი კომპეტენცია;**
- **სუბსიდიარული კომპეტენცია.**

ზოგიერთი ავტორი სუბსიდიარულ კომპეტენციას, რომლის წყაროსაც ევროპული კავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 352-ე მუხლი (ყოფილი 308-ე მუხლი) წარმოადგენს, დაწერილ კომპეტენციას მიაკუთვნებს.


**დაწერილი კომპეტენციები:** ის კომპეტენციები, რომლებიც ხელშეკრულებებით არის დადგენილი.

**დაუწერელი (ნაგულისხმევი) კომპეტენციები:** კომპეტენციები, რომლებიც არ არის მოცემული ხელშეკრულებებში და რომლებიც დადგენილ და ინტერპრეტირებული იქნა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის ფარგლებში.

**სუბსიდიარული კომპეტენციები:** შეზღუდული უფლებამოსილების პრინციპის მოდიფიცირება ხდება ევროპული კავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 352-ე მუხლში, რომლის მიხედვითაც იმ შემთხვევაში, თუკი ევროპული კავშირის მიერ ღონისძიებების გატარება აუცილებელი ჩანს, რათა საერთო ბაზრის ფარგლებში მიღწეულ იქნეს ევროპული კავშირის ერთ-ერთი მიზანი, საბჭოს შეუძლია გამოსცეს შესაბამისი ნორმატიული აქტები იმ

შემთხვევაშიც, თუკი ევროპული კავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულება შესაბამის უფლებამოსილებას არ ითვალისწინებს. გადაწყვეტილების მიღება ამ შემთხვევაში ერთხმად უნდა მოხდეს. ამასთან საჭიროა პარლამენტის მხრიდან თანხმობაც.

## ევროპული კავშირის სამართლის პრიმატი შიდასახელმწიფოებრივ სამართალთან მიმართებაში



ევროპული სასამართლოს მიერ მოცემულ საკითხთან დაკავშირებით მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები:

1964 - Costa/ENEL (სასამართლომ მიუთითა ევროპის გაერთიანების პირველადი სამართლის პრიმატზე შიდასახელმწიფოებრივ კანონებთან მიმართებაში)

1977 – Simmenthal II (სასამართლომ ხაზი გაუსვა ზოგადად ევროპის გაერთიანების სამართლის პრიმატს ეროვნულ კანონმდებლობასთან, მათ შორის კონსტიტუციასთან მიმართებაში)

ევროპული კავშირის სამართალს შიდასახელმწიფოებრივ სამართალთან მიმართებაში, როგორც წესი, გააჩნია გამოყენების და არა მოქმედების პრიმატი.

## ევროპული კავშირის სამართლის უშუალო მოქმედება

- საერთაშორისო ნორმის უშუალო მოქმედება ნიშნავს ამ ნორმის მიერ წევრ-სახელმწიფოებში იურიდიული თუ ფიზიკური პირებისათვის უფლებების ან/და მოვალეობების უშუალოდ წარმოშობას.

ნორმა რომ უშუალოდ მოქმედებდეს, უნდა იყოს:

- ნათლად და შინაარსობრივად უპირობოდ ფორმულირებული;
- მიზნად უნდა ჰქონდეს წევრ-სახელმწიფოებისათვის ან წევრ-სახელმწიფოებში იურიდიული ან ფიზიკური პირებისათვის მოქმედების ან უმოქმედობის მოვალეობის წარმოშობა;
- შესაძლებელი უნდა იყოს მისი სახელმწიფო დაწესებულებების და სასამართლოების მიერ სხვა სახელმწიფოებრივი ღონისძიებების გატარების გარეშეც გამოყენება.

• **დირექტივების უშუალო მოქმედების პრობლემა და მისი გადაჭრის საშუალებები**

დირექტივის უშუალო მოქმედება “ვერტიკალურ” (მოქალაქე-სახელმწიფო) ურთიერთობებში დაშვებულია უშუალო მოქმედების შემდეგი კრიტერიუმების სახეზე არსებობისას:

1. დირექტივის შესაბამისი ნორმები უნდა აკმაყოფილებდნენ უშუალო მოქმედების კრიტერიუმებს.
2. დირექტივის იმპლემენტაციის დადგენილი ვადა გასულია ან მისი ზუსტი შინაარსობრივი იმპლემენტაცია არ განხორციელებულა.

უშუალო მოქმედების ეფექტი “ჰორიზონტალურ” (მოქალაქე-მოქალაქე) ურთიერთობებში არ არის აღიარებული.

“ჰორიზონტალურ” ურთიერთობებთან დაკავშირებით სასამართლომ გამოიმუშავა რამდენიმე სახის მიდგომა, რომლითაც იგი ცდილობს გადაჭრას მოცემული პრობლემა. კერძოდ, მან გააფართოვა ცნება “სახელმწიფო” და მთავრობებისა და პარლამენტების გარდა მოიცვა ასევე საგადასახადო და საფინანსო უწყებები, სახელმწიფო საავადმყოფოები, პოლიცია, ყველა დონის მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოები, სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებული უფლებებით აღჭურვილი ენერგოსექტორის დაწესებულებები. მან ასევე დაადგინა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა ინტერპრეტაცია დირექტივის სასარგებლოდ უნდა წარმართონ. ევროპის გაერთიანების სასამართლომ, გარდა ამისა, სახელმწიფოს მოქალაქის წინაშე ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დააკისრა იმპლემენტაციის განუხორციელების გამო.

• **სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მოქალაქის წინაშე დირექტივის იმპლემენტაციის განუხორციელებლობის გამო**

პასუხისმგებლობის წინაპირობები:

1. დირექტივაში დადგენილი მიზანი ინდივიდუუმებისათვის უფლებების მინიჭებას ითვალისწინებს
2. ამ უფლებების შინაარსის დადგენა დირექტივების საფუძველზე უნდა იყოს შესაძლებელი
3. დარღვევასა და ზიანს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირი უნდა არსებობდეს.

## ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლო

ევროპული კავშირის სამართალი იცნობს შემდეგი სახის ძირითად სარჩელებს:

- სარჩელი ხელშეკრულების დარღვევის შესახებ;
- სარჩელი აქტის ბათილობის შესახებ;
- სარჩელი უმოქმედობის შესახებ;
- სარჩელი ზიანის მიყენების შესახებ;
- წინასწარი გადაწყვეტილების პროცესი.

### სარჩელი ხელშეკრულების დარღვევის შესახებ

კომისიის საზედამხედველო სარჩელი (ევროპული კავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 258-ე მუხლი)

#### I. წინაპირობები

1. საგნობრივი კომპეტენცია  
მართლმსაჯულების სასამართლო ხელშეკრულების დარღვევის შესახებ სარჩელთან მიმართებაში განსაკუთრებულ კომპეტენციას ფლობს.
2. მხარედ გამოსვლის უფლება
  - ა. აქტიური უფლება = მხოლოდ კომისია (258-ე მუხლის პირველი აბზაცი)
  - ბ. პასიური უფლება = მხოლოდ წევრი სახელმწიფოები (258-ე მუხლის პირველი აბზაცი)
3. წინასწარი პროცედურის სწორად წარმართვა
  - ა. კომისიის მიერ შესაბამისი წევრი სახელმწიფოს მისამართით გაკეთებული გაფრთხილება, რომელიც შემდეგ მონაცემებს მოიცავს:
    - შეტყობინება ფორმალური საკონსულტაციო პროცედურის დაწყების შესახებ;
    - შეტყობინება ფაქტების შესახებ, რომლებიც კომისიის აზრით ხელშეკრულების დარღვევას ასაბუთებენ; შეტყობინება ევროპული სამართლის დარღვეული ნორმების შესახებ;
    - მოწოდება იმისაკენ, რომ დაწესებულ ვადაში წევრმა სახელმწიფომ გააკეთოს განაცხადი წაყენებულ ბრალდებებთან დაკავშირებით.
  - ბ. ვადის გასვლის შემდეგ კომისია ამზადებს არგუმენტირებულ დასკვნას, რომელშიც მეორე ვადა იქნება დაწესებული.
  - გ. დაწესებული მეორე ვადის უგულვებელყოფა წევრი სახელმწიფოს მიერ.
4. სარჩელის საგანი  
= კომისიის მტკიცება იმის შესახებ, რომ წევრმა სახელმწიფომ თავისი ქმედებით დაარღვია ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.  
შემოწმების მასშტაბს ევროპული კავშირის სამართლის ყველა ნორმა წარმოადგენს=
  - პირველადი სამართალი;
  - მეორადი სამართალი;
  - კავშირის სამართალში ინტეგრირებული საერთაშორისო სამართალი:

(1) კავშირის მიერ დადებული საერთ. ხელშეკრულებები;

- (2) საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის ამ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით მოქმედი სამართლის საყოველთაო პრინციპები;
  - (3) ამ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით მოქმედი საერთაშორისო ჩვეულებითი ნორმები.
5. სარჩელის შეტანის უფლება  
= კომისია სამართლებრივ და ფაქტობრივ ასპექტებთან დაკავშირებით დარწმუნებული უნდა იყოს, რომ სახეზეა ხელშეკრულების დარღვევა.
6. სარჩელის აღძვრის ფორმა და ვადა
- ფორმა დარეგულირებულია მართლმსაჯულების სასამართლოს წესდებით
  - არ არსებობს რაიმე ვადა
7. დასაცავი უფლების არსებობის აუცილებლობა
- თუკი სარჩელის აღძვრისას წევრი სახელმწიფოსადმი წაყენებული ბრალდებები არასრულყოფილად არის ჩამოყალიბებული, მაშინ სახეზე არ არის დასაცავი უფლების არსებობა
  - თუკი ხელშეკრულების დარღვევა სრულიად იქნა აღმოფხვრილი დასკვნაში მითითებულ ვადაში, მაშინ მიღწეულად ჩაითვლება სარჩელის მიზანი და დასაცავი უფლების არარსებობის გამო სარჩელი წარმოებაში აღარ მიიღება
  - თუკი ხელშეკრულება საბოლოოდ აღმოფხვრილ იქნა ვადის გასვლის შემდეგ, მაგრამ სარჩელის აღძვრამდე ან პროცესის ბოლო ზეპირ ნაწილამდე, დასაცავი უფლება სახეზეა შემდეგ შემთხვევებში:
    - განმეორების საფრთხე;
    - პროცესი შემდგომი პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს;
    - საკითხი ევროპული კავშირის ფუნქციონირებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა.

## II. დასაბუთება და სასამართლო გადაწყვეტილების მოქმედება

სარჩელი დასაბუთებულად ჩაითვლება, თუკი

- კომისიის მიერ მოყვანილი ფაქტები სიმართლეს შეესაბამება,
- ქმდება სარჩელში მოცემულ წევრ-სახელმწიფოს მიერ არის განხორციელებული და
- გაერთიანების სამართლის რომელიმე ნორმა არის დარღვეული.

თუკი სასამართლო დავას კომისიის სასარგებლოდ გადაწყვეტს, ის იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, სადაც იგი ადგენს ევროპული კავშირის სამართლის ნორმის დარღვევის ფაქტს. წევრი სახელმწიფო ვალდებულია აღმოფხვრას ევროპული კავშირის სამართლის შესაბამისი ნორმის დარღვევა. ამასთან სასამართლოს არ გააჩნია უფლებამოსილება გადაწყვეტილებაში დაადგინოს წევრი სახელმწიფოს მიერ ევროპული კავშირის სამართლის შესაბამისი ნორმის აღმოფხვრის ვალდებულების აღსრულება.

გადაწყვეტილების განხორციელების მექანიზმი არ არსებობს, მაგრამ შესაძლებელია:

- ხელმეორე სარჩელის აღძვრა ჯარიმის დაკისრების მიზნით (260-ე მუხლის მეორე აბზაცი)
- დაზარალებულთა მიმართ სახელმწიფოს პასუხისმგებლობის წარმოშობა
- საერთაშორისო სამართლის ინსტრუმენტების გამოყენება დაუშვებელია

**წვერი სახელმწიფოს მიერ შეტანილი სარჩელი (259-ე მუხლი)****I. წინაპირობები****1. საგნობრივი კომპეტენცია**

მართლმსაჯულების სასამართლო ხელშეკრულების დარღვევის შესახებ სარჩელთან მიმართებაში განსაკუთრებული კომპეტენციას ფლობს.

**2. მხარედ გამოსვლის უფლება**

ა. აქტიური უფლება = მხოლოდ წვერი სახელმწიფოები (259-ე მუხლის პირველი აბზაცი)

ბ. პასიური უფლება = მხოლოდ წვერი სახელმწიფოები (259-ე მუხლის პირველი აბზაცი)

**3. წინასწარი პროცედურის სწორად წარმართვა**

ა. რომელიმე წვერი სახელმწიფო მიმართავს კომისიას იმის თაობაზე, რომ მეორე წვერი სახელმწიფო არღვევს ევროპული კავშირის სამართლის ნორმას (259-ე მუხლის მეორე აბზაცი): განცხადება უნდა მოიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

■ შეტყობინება ფაქტების შესახებ, რომლებიც წვერი სახელმწიფოს აზრით ხელშეკრულების დარღვევას ასაბუთებენ; შეტყობინება კავშირის სამართლის დარღვეული ნორმების შესახებ

■ მოწოდება იმისაკენ, რომ კომისიამ დაიწყოს 259-ე მუხლის მესამე აბზაციით გათვალისწინებული პროცედურა

ბ. კომისია დავის მონაწილე წვერ სახელმწიფოებს აძლევს საშუალებას, რათა გააკეთონ წერილობითი ან ზეპირი განცხადება (259-ე მუხლის მესამე აბზაცი)

**გ. წვერ სახელმწიფოს სარჩელის შეტანა შეუძლია:**

■ კომისიაში განცხადების შეტანიდან 3 თვის შემდეგ (მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა კომისიის დასკვნა) ან

■ 3 თვის ვადის გასვლამდე, თუკი არსებობს კომისიის დასკვნა

**4. სარჩელის საგანი**

= წვერი სახელმწიფოს მტკიცება იმის შესახებ, რომ მეორე წვერმა სახელმწიფომ თავისი ქმედებით დაარღვია ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება

შემოწმების მაშტაბს კავშირის სამართალის ყველა ნორმა წარმოადგენს=

■ პირველადი სამართალი

■ მეორადი სამართალი

■ კავშირის სამართალში ინტეგრირებული საერთაშორისო სამართალი

(1) კავშირის მიერ დადებული საერთ. ხელშეკრულებები

(2) საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის ამ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით მოქმედი სამართლის საყოველთაო პრინციპები

(3) ამ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით მოქმედი საერთაშორისო ჩვეულებითი ნორმები

**5. სარჩელის შეტანის უფლება**

= მოსარჩელე სახელმწიფო სამართლებრივ და ფაქტობრივ ასპექტებთან დაკავშირებით დარწმუნებული უნდა იყოს, რომ სახეზეა ხელშეკრულების დარღვევა.

**6. სარჩელის აღძვრის ფორმა და ვადა**

■ ფორმა დარეგულირებულია მართლმსაჯულების სასამართლოს წესდებით

■ არ არსებობს რაიმე ვადა

**7. დასაცავი უფლების არსებობის აუცილებლობა**

- თუკი სარჩელის აღძვრისას წვერი სახელმწიფოსადმი წაყენებული ბრალდებები არასრულყოფილად არის ჩამოყალიბებული, მაშინ სახეზე არ არის დასაცავი უფლების არსებობა
- თუკი ხელშეკრულების დარღვევა სრულიად იქნა აღმოფხვრილი დასკვნაში მითითებულ ვადაში, მაშინ მიღწეულად ჩაითვლება სარჩელის მიზანი და დასაცავი უფლების არარსებობის გამო სარჩელი წარმოებაში აღარ მიიღება
- თუკი ხელშეკრულება საბოლოოდ აღმოფხვრილ იქნა ვადის გასვლის შემდეგ, მაგრამ სარჩელის აღძვრამდე ან პროცესის ბოლო ზეპირ ნაწილამდე, დასაცავი უფლება სახეზეა შემდეგ შემთხვევებში:
  - განმეორების საფრთხე
  - პროცესი შემდგომი პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს
  - საკითხი ევროპული კავშირის ფუნქციონირებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა

## II. დასაბუთება და სასამართლო გადაწყვეტილების მოქმედება

სარჩელი დასაბუთებულად ჩაითვლება, თუკი

- მოსარჩელეს მიერ მოყვანილი ფაქტები სიმართლეს შეესაბამება,
- ქმედება სარჩელში მოცემულ წვერი სახელმწიფოს მიერ არის განხორციელებული და
- კავშირის სამართლის რომელიმე ნორმა არის დარღვეული.

თუკი სასამართლო დავას მოსარჩელეს სასარგებლოდ გადაწყვეტს, ის იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, სადაც იგი ადგენს ევროპული კავშირის სამართლის ნორმის დარღვევის ფაქტს. წვერი სახელმწიფო ვალდებულია აღმოფხვრას ევროპული კავშირის სამართლის შესაბამისი ნორმის დარღვევა. ამასთან სასამართლოს არ გააჩნია უფლებამოსილება გადაწყვეტილებაში დაადგინოს წვერი სახელმწიფოს მიერ ევროპული კავშირის სამართლის შესაბამისი ნორმის აღმოფხვრის ვალდებულების აღსრულება.

გადაწყვეტილების განხორციელების მექანიზმი არ არსებობს, მაგრამ შესაძლებელია:

- ხელმეორე სარჩელის აღძვრა ჯარიმის დაკისრების მიზნით (260-ე მუხლის მეორე აბზაცი)
- დაზარალებულთა მიმართ სახელმწიფოს პასუხისმგებლობის წარმოშობა
- საერთაშორისო სამართლის ინსტრუმენტების გამოყენება დაუშვებელია

## ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლო

### სარჩელი აქტის ბათილობის შესახებ

#### I. წინაპირობები

##### 1. საგნობრივი კომპეტენცია

- ზოგადი სასამართლო უფლებამოსილია ფიზიკური და იურიდიული პირების სარჩელებთან მიმართებაში
- მართლმსაჯულების სასამართლო უფლებამოსილია ევროპული კავშირის ორგანოებისა და წევრი სახელმწიფოების სარჩელებთან მიმართებაში

##### 2. მხარედ გამოსვლის უფლება

###### ა. აქტიური უფლება

- წევრი სახელმწიფოები, კომისია, საბჭო, ევროპული პარლამენტი (263-ე მუხლის მეორე აბზაცი)
- კონტროლის პალატა, ცენტრალური ბანკი, რეგიონების კომიტეტი (263-ე მუხლის მესამე აბზაცი)
- ფიზიკური და იურიდიული პირები (263-ე მუხლის მეოთხე აბზაცი)

პასიური უფლება = ევროპული საბჭო, საბჭო, კომისია, ევრ. პარლამენტი, ცენტრ. ბანკი

##### 3. სარჩელის საგანი

###### ა. ორგანოების ან წევრი სახელმწიფოების სარჩელის შემთხვევაში:

- რეგულაციები
- დირექტივები
- გადაწყვეტილებები
- კავშირის ყველა სხვა ქმედება, რომელიც სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს შესაბამისი ორგანოს შიდა კომპეტენციის ფარგლებს გარეთ

###### ბ. ინდივიდუალური სარჩელების შემთხვევაში:

- შეზღუდულია კავშირის ქმედებებით, რომლებიც ფორმალურად ან მატერიალურად გადაწყვეტილებებს წარმოადგენენ

##### 4. სარჩელი აქტის ბათილობის შესახებ მიმართული უნდა იყოს იმ ორგანოს წინააღმდეგ, რომელმაც მიიღო აღნიშნული აქტი.

##### 5. სარჩელის შეტანის უფლება

###### ა. საბჭო, კომისია, ევრ. პარლამენტი და წევრი სახელმწიფოები შეუზღუდავად (263-ე მუხლის მეორე აბზაცი)

###### ბ. კონტროლის პალატას, ცენტრალურ ბანკს და რეგიონების კომიტეტს მხოლოდ მაშინ გააჩნიათ სარჩელის შეტანის უფლება, როდესაც სარჩელი ხელშეკრულებით მათთვის მინიჭებული უფლებამოსილების დაცვისაკენ არის მიმართული (263-ე მუხლის მესამე აბზაცი)

###### გ. ფიზიკურ და იურიდიულ პირებს მხოლოდ მაშინ გააჩნიათ სარჩელის შეტანის უფლება, როდესაც ისინი სადავო აქტის უშუალო ადრესატს წარმოადგენენ ან როდესაც მოცემული ნორმატიული აქტი მათ უშუალოდ და ინდივიდუალურად ეხება (263-ე მუხლის მეოთხე აბზაცი)

##### 6. სარჩელის აღძვრის ფორმა და ვადა

- ფორმა დარეგულირებულია სასამართლოს წესდებით

- სარჩელის შეტანა უნდა მოხდეს აქტის გამოცემიდან 2 თვის ვადაში (263-ე მუხლის მეექვსე აბზაცი). იმ აქტების გასაჩივრების ვადა, რომელთა გამოქვეყნება ხდება ევროპული კავშირის ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში, ვადა ათვლდება გამოქვეყნებიდან 15 დღის გასვლის შემდეგ.

#### 7. დასაცავი უფლების არსებობის აუცილებლობა

პრობლემატურია იმ შემთხვევაში, თუკი აქტი სარჩელის აღძვრის მომენტისათვის გაუქმებულ იქნა ან ნაკლი აღმოფხვრილ იქნა. ამ შემთხვევებშიც სახეზეა დასაცავი უფლების არსებობა, თუკი:

- არსებობს განმეორების კონკრეტული საფრთხე,
- საკითხი ევროპული კავშირის ფუნქციონირებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ან
- კავშირის ორგანოს გამამტყუნებელი გადაწყვეტილება სარჩელის შემტანის მხრიდან კავშირისათვის ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ პრეტენზიის საფუძველს წარმოშობს

## II. დასაბუთება და სასამართლო გადაწყვეტილების მოქმედება

სარჩელი დასაბუთებულად ჩაითვლება, თუკი სადავო აქტი 263-ე მუხლის მეორე აბზაცში ჩამოთვლილ ბათილობის საფუძველებიდან ერთ-ერთის არსებობის გამო ნაკლის მქონე აქტად ჩაითვლება და აღნიშნული დარღვევა სარჩელის შემტანის მიერ დასახელებულ იქნება ან კიდევ სასამართლო ex officio მას აღმოაჩენს.

ბათილობის საფუძველი შეიძლება იყოს:

- კომპეტენციის არარსებობა
  - ევროპული კავშირის კომპეტენციის არარსებობა
  - აქტის მიმღები ორგანოს კომპეტენციის არარსებობა

- არსებითი ფორმალური დებულებების დარღვევა  
გადაწყვეტილების მიღების პროცედურის ნორმების დარღვევა

- ხელშეკრულების ან მის განსახორციელებლად მოქმედი სამართლებრივი ნორმის დარღვევა

მოიცავს ევროპული კავშირის სამართლის ყველა (რანგით მაღალი) ნორმის დარღვევებს.

მოწმდება ზუსტად არის თუ არა კომპეტენციის ნორმა შერჩეული, კომპეტენციის ფარგლები არის თუ არა დაცული, შეესაბამება თუ არა პირველად სამართალს, შეესაბამება თუ არა სხვა რანგით მაღლა მდგომ ევროპული კავშირის სამართლის ნორმას, შეესაბამება თუ არა საერთაშორისო ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებს.

- უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება

შემთხვევები, როდესაც რომელიმე ორგანო განზრახ ან დაუდევრობით ევროპული კავშირის სამართლის რომელიმე კომპეტენციის ნორმას

- (1) უკანონო მიზნებისთვის გამოიყენებს ან
- (2) აქტის მიღების დასაბუთებაში მოცემული მიზნებისაგან განსხვავებულ სხვა - თუნდაც კანონიერი - მიზნებისათვის იყენებს.

თუკი სასამართლო დავას მოსარჩელე მხარის სასარგებლოდ გადაწყვეტს, ის იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, სადაც იგი ევროპული კავშირის სამართლის შესაბამის აქტს ან კიდევ ამ აქტის ცალკეულ ნორმას უკუქცევითი ძალით (ex tunc) და erga omnes ბათილად აცხადებს.

## ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლო

### სარჩელი უმოქმედობის შესახებ (265-ე მუხლი)

#### I. წინაპირობები

1. საგნობრივი კომპეტენცია
  - ზოგადი სასამართლო უფლებამოსილია ფიზიკური და იურიდიული პირების სარჩელებთან მიმართებაში
  - მართლმსაჯულების სასამართლო უფლებამოსილია ევროპული კავშირის ორგანოების და წევრი სარჩელებთან მიმართებაში
2. მხარედ გამოსვლის უფლება
  - ა. აქტიური უფლება
    - წევრი სახელმწიფოები და კავშირის ორგანოები სასამართლოს გამოკლებით (265-ე მუხლის პირველი აბზაცი)
    - ფიზიკური და იურიდიული პირები (265-ე მუხლის მესამე აბზაცი)
  - ბ. პასიური უფლება = ევროპული საბჭო, საბჭო, კომისია, ევრ. პარლამენტი, ცენტრ. ბანკი, ევროპული კავშირის სხვა დაწესებულებები.
3. წინასწარი პროცედურის სწორად წარმართვა
  - ა. შეტყობინება მიმართული უმოქმედო ორგანოსადმი, რომელიც შემდეგ მონაცემებს მოიცავს:
    - ღონისძიებების ჩამონათვალი, რომელიც უნდა გატარებული იყოს შესაბამისი ორგანოს მიერ
    - ჩამონათვალი იმ ვალდებულებებისა, რომლებიც დაირღვა ორგანოს უმოქმედობის შედეგად
    - მითითება იმის თაობაზე, რომ შემდგომი უმოქმედობის შემთხვევაში განზრახულია სასამართლოში სარჩელის შეტანა
  - ბ. შეტყობინების მიღების შემდეგ 2 თვის ვადაში შესაბამისი ორგანოს მიერ პოზიციის არდაფიქსირება
4. სარჩელის საგანი
  - ა. ორგანოების ან წევრი სახელმწიფოების სარჩელი
 

ორგანოს მიერ გადაწყვეტილების არმიღება, თუკი აღნიშნული უმოქმედობა ევროპული კავშირის სამართლის დარღვევას წარმოადგენს (265-ე მუხლის პირველი აბზაცის, გადაწყვეტილება = ყველა - არასავალდებულო ხასიათის მქონე - ღონისძიება)
  - ბ. ინდივიდუალური სარჩელი
 

ფიზიკურ და იურიდიულ პირებს მხოლოდ მაშინ გააჩნიათ სარჩელის შეტანის უფლება, როდესაც ისინი სადავო აქტის უშუალო ადრესატი იქნებოდნენ ან როდესაც მოცემული აქტი მათ უშუალოდ და ინდივიდუალურად შეეხებოდა. ამასთან სადავო აქტი მხოლოდ სავალდებულო ხასიათის მქონე აქტი შეიძლება იყოს.
5. სარჩელის ზუსტი ადრესატი
 

უმოქმედობის შესახებ სარჩელი იმ ორგანოს წინააღმდეგ უნდა იყოს მიმართული, რომელსაც უნდა გამოეცა სადავო სამართლებრივი აქტი.
6. სარჩელის აღძვრის ფორმა
 

ფორმა დარეგულირებულია სასამართლოს წესდებით.
7. სარჩელის აღძვრის ვადა

2 თვის ვადა პოზიციის დაფიქსირებისათვის მიცემული ვადის უშედგოდ გასვლის შემდეგ (უშედგოდ = შესაბამისი ორგანო არ აფიქსირებს პოზიტიურ ან ნეგატიურ პოზიციას).

8. დასაცავი უფლების არსებობის აუცილებლობა

დასაცავი უფლება აღარ არსებობს იმ შემთხვევებში, თუკი შესაბამისი ორგანო პოზიციის დაფიქსირების ვადის გასვლის შემდეგ, მაგრამ ამასთან სასამართლო გადაწყვეტილების გამოცხადებამდე მიიღებს შესაბამის ზომებს (= გამოსცემს სადავო აქტს).

**II. დასაბუთება და სასამართლო გადაწყვეტილების მოქმედება**

სარჩელი დასაბუთებულად ჩაითვლება, თუკი შესაბამისმა ორგანომ არ მიიღო გადაწყვეტილება, რისი მიღების ვალდებულებაც მას კავშირის პირველადი ან მეორადი სამართლის საფუძველზე გააჩნდა.

**III. სასამართლო გადაწყვეტილების მოქმედება**

სასამართლო გადაწყვეტილება არ აღმოფხვრის არსებულ დარღვევას, იგი უბრალოდ ადგენს დარღვევის ფაქტს. 266-ე მუხლის მიხედვით, ორგანოები, რომელთა მიმართაც იქნა გამამტყუნებელი სასამართლო გადაწყვეტილება, ვალდებულია გამოსცეს სადავო სამართლებრივი აქტი.

## ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლო

### სარჩელი ზიანის მიყენების შესახებ (არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობის შესახებ)

#### I. წინაპირობები

##### 2. საგნობრივი კომპეტენცია

- ზოგადი სასამართლო უფლებამოსილია ფიზიკური და იურიდიული პირების სარჩელებთან მიმართებაში
- მართლმსაჯულების სასამართლო უფლებამოსილია წევრი სახელმწიფოების სარჩელებთან მიმართებაში

##### 3. მხარედ გამოსვლის უფლება

###### ა. აქტიური უფლება

- ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებსაც ზიანი მიადგათ
- წევრი სახელმწიფოები

ბ. პასიური უფლება = ევროპული კავშირი, რომელიც პროცესზე იმ ორგანოთი არის წარმოდგენილი, რომლის ქმედებამაც გამოიწვია მოსარჩელესათვის ზიანის მიყენება

##### 4. სარჩელის აღძვრის ფორმა და ვადა

- ფორმა დარეგულირებულია სასამართლოს წესდებით
- სარჩელის შეტანა უნდა მოხდეს ზიანის მიყენების ფაქტიდან 5 წლის ვადაში = ხანდაზმულობის ვადა

##### 5. დასაცავი უფლების არსებობის აუცილებლობა

- ზიანის წარმოშობამდე - პირი ვალდებულია შიდა სამართლებრივი დამცავი მექანიზმებით, რომლებიც მიმართული იქნებიან შიდასამართლებრივი აქტის წინააღმდეგ, ხელი შეუშალონ ზიანის წარმოქმნას
- ზიანის წარმოშობის შემდეგ - სარჩელის შეტანა მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება, როდესაც სრულიად, მაგრამ უშედეგოდ იქნება გამოყენებული ყველა შიდასახელმწიფოებრივი დამცავი მექანიზმი

#### II. დასაბუთება

სარჩელი დასაბუთებულად ჩაითვლება, თუკი რომელიმე ორგანომ ან კავშირის მოხელემ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაარღვია

- ადმინისტრაციული ზიანის შემთხვევაში: დაზარალებულთა დამცავი სამართლებრივი ნორმა

ან

- ნორმატიული ზიანის შემთხვევაში: უფრო მაღალი რანგის მქონე სამართლებრივი ნორმა

და ამით მოსარჩელეს უშუალოდ ზიანი მიაყენა, ამასთან ზიანსა და ქმედებას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი უნდა არსებობდეს.

კავშირის კანონიერი ქმედების შემთხვევაში სახეზე უნდა იყოს "განსაკუთრებული" ზიანი.

#### III. სასამართლო გადაწყვეტილების მოქმედება

სასამართლო გადაწყვეტილება მოქმედებს inter partes და არა erga omnes.

## წინასწარი გადაწყვეტილების პროცესი (267-ე მუხლი)

### I. წინასწარი გადაწყვეტილების მისაღებად საკითხის განხილვაში მიღების წინაპირობები

1. მართლმსაჯულების სასამართლოს გააჩნია განსაკუთრებული კომპეტენცია (მართალია გარკვეულ სფეროებში შესაძლებელია წინასწარი გადაწყვეტილების პროცედურის ფარგლებში კომპეტენციების გადაცემა ზოგადი სასამართლოსთვის, თუმცა ჯერჯერობით ამ სფეროების განსაზღვრა არ განხორციელებულა)
2. საკითხი შეიძლება ეხებოდეს
  - ევროპული კავშირის პირველადი და მეორადი სამართლის ინტერპრეტაციას
  - ორგანოების აქტების მოქმედებას
  - საბჭოს მიერ შექმნილი უწყებების წესდების ინტერპრეტაციას, თუკი ასეთი რამ გათვალისწინებულია თვით ამ წესდებებით
3. წევრი სახელმწიფოების სასამართლოები, რომლებსაც შეუძლიათ საკითხის მართლმსაჯულების სასამართლოსთვის გადაცემა:
 

წევრი სახელმწიფოს სასამართლო =

  - (1) დამოუკიდებელ,
  - (2) რომელიმე კანონის საფუძველზე შექმნილ ინსტანციას,
  - (3) რომელიც მისი - საეაღდებულო - კომპეტენციის ფარგლებში,
  - (4) სამართლებრივ დავებში სამართლებრივი აქტების გამოყენების საფუძველზე
  - (5) მხარეებისათვის საეაღდებულო ძალის მქონე გადაწყვეტილებას იღებს.
4. საკითხის გადაცემის უფლება და საკითხის გადაცემის ვალდებულება
  - ა. საკითხის გადაცემის უფლება შიდასახელმწიფოებრივ სასამართლობისათვის
    - კავშირის სამართლის (ყველა წყაროს) ინტერპრეტაციასთან ან (მეორადი წყაროს) მოქმედებასთან დაკავშირებული ეჭვი და
    - საკითხის დიდი მნიშვნელობა აქტუალური დავის გადაწყვეტისათვის
  - ბ. საკითხის გადაცემის ვალდებულება შიდასახელმწიფოებრივ სასამართლობისათვის
    - როდესაც სასამართლო მოცემულ საქმეში ბოლო ინსტანციის სასამართლოს წარმოადგენს ან
    - როდესაც სასამართლო აპირებს უარყოს კავშირის მეორადი სამართლის რომელიმე აქტის მოქმედება ან
    - როდესაც სასამართლოს განზრახული აქვს გააუქმოს, არ გამოიყენოს ან შეაჩეროს შიდასახელმწიფოებრივი აქტი, რომელიც კავშირის სამართლის განმახორციელებელ აქტს წარმოადგენს
  - გ. გამონაკლისები საკითხის გადაცემის ვალდებულებიდან
    - როდესაც მოცემულ საკითხზე მსგავს საქმეში მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ უკვე გაეცა პასუხი ან
    - როდესაც კავშირის სამართლის სწორი ინტერპრეტაცია იმდენად სახეზეა, რომ არ შეიძლება ეჭვი გაჩნდეს მოცემული სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერებასთან დაკავშირებით ან იმასთან დაკავშირებით, რომ სხვა სასამართლო სხვა წევრ სახელმწიფოში ან მართლმსაჯულების სასამართლო სხვაგვარად გადაწყვეტდნენ (acte claire)

## 5. საკითხის შინაარსი

საკითხი უნდა იყოს აბსტრაქტული და დაკავშირებული უნდა იყოს კავშირის სამართლის ინტერპრეტაციასთან ან მოქმედებასთან

## 6. საკითხის გადაცემის ფორმა

არ არსებობს განსაკუთრებული მოთხოვნები

**II. წინასწარი სასამართლო გადაწყვეტილების სამართლებრივი შედეგები**

- მოცემულ საქმესთან დაკავშირებით გადაწყვეტილება სავალდებულოა საკითხის გადმოცემა სასამართლოსათვის, ასევე სხვა ანალოგიურ საქმეზე გადაწყვეტილების მიმღები სასამართლოებისათვის
- სხვა დავებში
- ინტერპრეტაციასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს გააჩნიათ შეზღუდული *erga omnes* მოქმედების ძალა: წევრ-სახელმწიფოების სასამართლოები ვალდებულნი არიან, გამოიყენონ მართლმსაჯულების სასამართლოს ინტერპრეტაცია ან საექვო შემთხვევაში ხელახლა გადასცენ ეგს-ს შესაბამისი საკითხი ახსნა-განსამართად. ანუ *erga omnes* მოქმედების ძალა არ ზღუდავს მომავალში საკითხის გადაცემას.
- მოქმედების საკითხებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს შეუზღუდავი *erga omnes* მოქმედების ძალა გააჩნიათ. აქტის მოქმედების უარყოფის შემთხვევაში მომავალში მსგავსი საკითხის გადაცემა გამორიცხულია. აქტის მოქმედების დადასტურების შემთხვევაში კი, ეროვნულ სასამართლოებს შეუძლიათ მსგავსი საკითხის კვლავ გადაცემა, თუკი მათ კიდევ გაუჩნდებათ ეჭვები მოცემული აქტის მოქმედებასთან დაკავშირებით.
- გადაწყვეტილებები მოქმედებენ *ex tunc*, თუმცა მართლმსაჯულების სასამართლოს შეუძლია მათთვის *ex nunc* მოქმედების დაწესებაც.

## საქონლის თავისუფალი გადაადგილება

**საქონლის თავისუფალი გადაადგილების** საფუძველს წარმოადგენენ წევრ-სახელმწიფოთა შორის არსებული საბაჟო კავშირი და წევრ სახელმწიფოთა შორის ვაჭრობაში ექსპორტისა და იმპორტის მოცულობითი შეზღუდვების, ასევე მოცულობითი შეზღუდვების მსგავსი ეფექტის ღონისძიებების აკრძალვა (ევროპული კავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 28-36 მუხლები).

- **საბაჟო კავშირი** შედგება 2 ელემენტისაგან: ერთის მხრივ, წევრ სახელმწიფოთა შორის ბაჟისა და მსგავსი ეფექტის გადასახადების დაწესების აკრძალვა და მეორეს მხრივ, მესამე სახელმწიფოთა მიმართ საერთო საბაჟო ტარიფის შემოღება. **ბაჟი** არის გადასახადი, რომელსაც სახელმწიფო საქონლის ექსპორტსა და იმპორტთან დაკავშირებით აწესებს.
- ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების მიხედვით, **მოცულობითი შეზღუდვები** “არის ყველა ის ღონისძიება, რომელიც იმპორტის, ექსპორტის ან ტრანზიტის მთლიან ან ნაწილობრივ შეზღუდვას წარმოადგენს”.

ევროპული სასამართლოს ე. წ. „**დასონვილის ფორმულის**“ (Dassonville) მიხედვით, ექსპორტისა და იმპორტის მოცულობითი შეზღუდვების **მსგავსი ეფექტის ღონისძიებების** აკრძალვა (34-ე და 35-ე მუხლები) მოიცავს **სახელმწიფოს ყველა იმ ქმედებას, რომელმაც შესაძლოა ფაქტიურად ან პოტენციურად, უშუალოდ ან ირიბად ხელი შეუშალოს წევრ სახელმწიფოთა შორის ვაჭრობას, მიუხედავად იმისა, ეხება იგი მხოლოდ უცხოურ თუ სამამულო პროდუქციასაც.**

„დასონვილის ფორმულა“ **„კეკის ფორმულით“** (Keck) თელეოლოგიური რედუქციის საშუალებით იზღუდება. ამ უკანასკნელის მიხედვით, **ვაჭრობის შეზღუდვას** არ წარმოადგენენ ისეთი შიდასახელმწიფოებრივი დებულებები, რომლებიც

- (1) **ნაწარმის გაყიდვის პირობებს** ადგენენ (განსხვავებით თვით პროდუქტთან დაკავშირებული პირობებისა),
- (2) ეკონომიკური ცხოვრების ყველა იმ მონაწილესათვის ყოველგვარი **დიფერენცირების გარეშე მოქმედებენ**, რომელიც მოცემულ სახელმწიფოში საქმიანობს და რომელსაც მოცემული დებულებები ეხება და
- (3) ეროვნული ნაწარმისა და სხვა წევრ სახელმწიფოების ნაწარმის გაყიდვის პირობებს ისევე როგორც სამართლებრივად, ასევე **ფაქტიურადაც ერთნაირად არეგულირებს.**

➤ მაგ. სავაჭრო ობიექტების სამუშაო საათების რეგულირება; სატელევიზიო რეკლამის შეზღუდვა

36-ე მუხლის პირველ აბზაცში მოცემულია ის საფუძვლები, რომელთა არსებობის დასაბუთების შემთხვევაში შესაძლებელია საქონლის თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვის გამართლება. ესენია: უსაფრთხოება; საზოგადოებრივი წესრიგი; საზოგადოების მორალი; ადამიანებისა და ცხოველების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის და მცენარეების დაცვა; ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის დაცვა; კომერციული საკუთრების დაცვა.

იმ გასამართლებელი საფუძვლების გარდა, რომლებიც 36-ე მუხლის პირველ აბზაცშია მოცემული, ევროპულმა სასამართლომ ჩამოაყალიბა ე. წ. **დაუწერელი გასამართლებელი საფუძვლები („კასისის [Cassis] ფორმულა“)**, რომლის

მიხედვითაც წვერი სახელმწიფოს მიერ ექსპორტზე და იმპორტზე შეზღუდვების დაწესება დაშვებულია, თუკი:


- (1) *ევროპული კავშირის სამართალი მოცემულ საკითხს არ არეგულირებს,*
- (2) ექსპორტისა და იმპორტის მოცემული შეზღუდვა *აუცილებელია,*
- (3) რათა საზოგადოებრივი კეთილდღეობის *სავალდებულო მოთხოვნები (ანუ მაღალი მიზნები)* იქნას დაკმაყოფილებული - კერძოდ კი ეფექტური საგადასახადო კონტროლი, მომხმარებელთა უფლებების დაცვა, კულტურის საკითხები, მედიის მრავალფეროვნება, სამუშაო გარემოს დაცვა, გარემოს დაცვა (შენიშვნა: ჩამონათვალი სრული არ არის, იგი შეიძლება ევროპული სასამართლოს მიერ გაფართოებულ იქნას) - და
- (4) თუკი ამასთან მოცემული დებულებები ეროვნული და უცხოური ნაწარმისათვის *განურჩევლად* მოქმედებენ.

შეზღუდვა საბოლოოდ უნდა შემოწმდეს **თანაზომიერების** პრინციპზე, რომელიც თავის მხრივ 3 კომპონენტს მოიცავს:

- **საჭიროება** – შეზღუდვა მაშინ არის საჭირო, თუკი მიზნის მიღწევა სხვა რომელიმე ქმედებით, რომელიც დასაცავ სამართლებრივ ობიექტს (ამ შემთხვევაში საქონლის თავისუფალ გადაადგილებას) ნაკლებ ზიანს მიაყენებდა, ისევე ეფექტურად არ არის შესაძლებელი;
- **გამოსადეგობა** – შეზღუდვა უნდა გამოდგებოდეს მიზნის მისაღწევად;
- **თანაზომიერება ვიწრო გაგებით** – შეზღუდვა იმ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს თანაზომიერად, როდესაც მოსალოდნელი შედეგი ზიანთან თანაზომიერ კავშირში იმყოფება. ანუ უნდა არსებობდეს გარკვეული თანაფარდობა მხარდაჭერილ და ხელყოფილ სამართლებრივ ინტერესებს შორის.

# საქონლის თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვის დადგენა

შემადგენლობის დადგენა



## მუშახელის თავისუფალი გადაადგილება

**მუშახელის თავისუფალი გადაადგილება მოიცავს 3 ელემენტს** (ევროპული კავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 45-ე მუხლი): 1. სხვა წევრ სახელმწიფოთა მოქალაქეობის მქონე მუშახელის მოქალაქეობრივ კუთვნილებაზე დაფუძნებული დისკრიმინაციის აკრძალვა დასაქმებასთან, შრომის ანაზღაურებასა და სხვა სამუშაო პირობებთან მიმართებაში. 2. უფლება ვაკანტური სამუშაო ადგილის დაკავებაზე პრეტენზიის განცხადებისა და უფლება ამ მიზნით და შრომითი საქმიანობის განხორციელების მიზნით წევრი სახელმწიფოების იურისდიქციის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე ყოფნისა და თავისუფალი გადაადგილებისა. 3. გარკვეული წინაპირობების გათვალისწინებით შრომითი ურთიერთობების დამთავრების შემდეგ წევრ სახელმწიფოში დარჩენის უფლება.

**“მუშახელის”** ცნება ევროპის სამართლებრივი ცნებაა და მისი დეფინირება წევრი სახელმწიფოების კომპეტენციაში არ შედის. მუშახელი ცნება მოიცავს ყველა იმ დამოკიდებულებაში მყოფ დასაქმებულს, რომელიც ანაზღაურებას იღებს. ანაზღაურება არ უნდა იყოს სრულიად უმნიშვნელო. სამუშაოს დაკარგვა არ იწვევს მუშახელის სტატუსის დაკარგვას. “მუშახელის” ცნება არ მოიცავს საჯარო სამსახურში დაკავებულ პირებს (საჯარო სამსახურად არ ითვლება ისეთ სახელმწიფო დაწესებულებებში მუშაობა, რომლებიც მომსახურების სფეროს მიეკუთვნებიან: საავადმყოფოები, რკინიგზა, ფოსტა, სკოლები და უმაღლესი სასწავლებლები).

შინაარსობრივად “მუშახელის თავისუფალი გადაადგილება” მოიცავს წარმოშობის ქვეყნიდან გამოსვლის, დანიშნულების ქვეყანაში შესვლის და ყოფნის უფლებას, ასევე სამუშაოზე დაშვებისა და სამუშაოს განხორციელების თანაბარ პირობებს.

მუშახელის წევრ სახელმწიფოში ცხოვრების უფლება გამომდინარეობს ევროპული კავშირის სამართლიდან და არ არის დამოკიდებული მოცემული წევრი სახელმწიფოს მიერ შესაბამისი ნებართვის გაცემაზე.

ევროპული კავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულებაში მოცემულ დებულებებთან ერთად მნიშვნელოვანია მეორადი სამართლის დებულებებიც.

მუშახელის თავისუფალი გადაადგილების პრინციპი მოქმედებს ასევე მუშახელის ოჯახის წევრებთან მიმართებაში, ასევე იმ პირებთან მიმართებაში, რომლებიც მომავალში დასაქმების მიზნით სწავლობენ სასწავლო დაწესებულებებში. ამასთან მუშახელის ოჯახის წევრებთან მიმართებაში მოქალაქეობას მნიშვნელობა არ აქვს. პრივილეგირებული ოჯახის წევრებია: ცოლი, ქმარი, შვილები და შვილიშვილები (21 წლამდე ან მის კმაყოფაზე მყოფი); მშობლები, თუკი მუშახელის კმაყოფაზე არიან. მოქალაქეობას მნიშვნელობა არა აქვს.

არაპრივილეგირებული ოჯახის წევრებია: სხვა ნათესავები, რომლებიც მუშახელის სახლში ცხოვრობენ ან მის კმაყოფაზე იმყოფებიან (მათ მხოლოდ ცხოვრების უფლება შეიძლება გააჩნდეთ).

**„კეკის ფორმულის“ (Keck) პრინციპების** მიხედვით, მუშახელის თავისუფალი გადაადგილების **შეზღუდვას** არ წარმოადგენენ ისეთი შიდასახელმწიფოებრივი დებულებები,

(1) რომლებიც **უცხოელი მუშახელის დაშვებას შრომის ბაზარზე არ ზღუდავენ** (ფაქტიური შეზღუდვის მაშტაბი),


- (2) ყველა მუშახელისათვის **თანაბრად მოქმედებენ** (ნორმატული დისკრიმინაციის მაშტაბი) და
- (3) რომლებიც ადგილობრივი მუშახელისა და სხვა წევრ სახელმწიფოდან შემოსული მუშახელის შრომით ურთიერთობებს **სინამდვილეშიც თანაბრად შეეხებიან** (ფაქტიური დისკრიმინაციის მაშტაბი).

იმ გასამართლებელი საფუძვლების გარდა, რომლებიც ევროპული კავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 45-ე მუხლის მესამე აბზაცშია მოცემული (საზოგადოებრივი წესრიგი, უსაფრთხოება და ჯანმრთელობის დაცვა), ევროპულმა სასამართლომ ჩამოაყალიბა ე. წ. **დაუწერელი გასამართლებელი საფუძვლები**, რომლის მიხედვითაც წევრი სახელმწიფოს მიერ მუშახელის თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვა დაშვებულია, თუკი:

- (1) **ევროპის კავშირის სამართალი მოცემულ საკითხს არ არეგულირებს**,
- (2) მოცემული შეზღუდვა **აუცილებელია**,
- (3) რათა საზოგადოებრივი კეთილდღეობის **იძულებითი მოთხოვნები** იქნას დაკმაყოფილებული და
- (4) თუკი ამასთან მოცემული დებულებები ადგილობრივი და სხვა წევრი სახელმწიფოების მოქალაქეობის მქონე მუშახელის შრომითი ურთიერთობებისათვის **განურჩევლად** მოქმედებენ.

# მუშახელის თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვის დადგენა

შემადგენლობის დადგენა



## დაფუძნების თავისუფლება

ევროპილი კავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულება ითვალისწინებს იმ შეზღუდვების აკრძალვას, რომელიც ერთი წევრი სახელმწიფოს თვითდასაქმებული მოქალაქის ან ამ სახელმწიფოში დაფუძნებული იურიდიული პირის მეორე წევრ სახელმწიფოში თავისუფალ დაფუძნებას უშლის ხელს (49-ე მუხლი).

დაფუძნება გულისხმობს დამოუკიდებელი სამეწარმეო საქმიანობის დაწყებას და განხორციელებას, ასევე საწარმოების დაფუძნებასა და მართვას.

დაფუძნების თავისუფლების სუბიექტები არიან ფიზიკური პირები, რომლებიც წევრ-სახელმწიფოების მოქალაქეები არიან და რომელიმე წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული იურიდიული პირები, რომელთა წესდებით დადგენილი ადგილსამყოფელი ან სათაო ოფისი ევროპული კავშირის ფარგლებში იმყოფება.

დაფუძნების თავისუფლება მოიცავს კავშირის ერთ-ერთ წევრ სახელმწიფოში, რომელიც სუბიექტის “მშობლიურ” სახელმწიფოს არ წარმოადგენს, ხანგრძლივ ვადაზე გათვლილი დამოუკიდებელი საქმიანობის განხორციელების უფლებას ადგილობრივ სუბიექტებთან თანაბარ პირობებში.

**დაფუძნება** = თვითდასაქმებული პირის *ხანგრძლივ ვადაზე* გათვლილი პროფესიული საქმიანობა კონკრეტულ ადგილზე.

დაფუძნებისაგან განსხვავებით **მომსახურებას** *დროებითი* ხასიათი აქვს.

დაფუძნების თავისუფლებით, წევრი სახელმწიფოების მოქალაქეებთან მიმართებაში, აკრძალულია ისეთი შიდასახელმწიფოებრივი ნორმები, რომლებიც დამოუკიდებელი საქმიანობის განხორციელებისათვის უცხოელებისათვის ნებართვის გაცემის წინაპირობას ადგენენ ან კიდევ დებულებები, რომლებიც უცხოელების მიერ დამოუკიდებელი საქმიანობასთან დაკავშირებული უფლებების განხორციელებას გამორიცხავენ.

ნებადართულია მხოლოდ ის შეზღუდვა, რომლებიც საზოგადოებრივ უსაფრთხოების, წესრიგისა და ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება ან საჯარო სამსახურს (მაგ.: თავდაცვა, სახელმწიფო უშიშროება, პოლიცია, სასამართლო აღსრულება) შეეხება. ამ გასამართლებელი საფუძვლების გარდა ევროპულმა სასამართლომ ჩამოაყალიბა ე. წ. **დაუწერელი გასამართლებელი საფუძვლები** (= **საყოველთაო ინტერესის იძულებითი მოთხოვნები**) რომლის მიხედვითაც წევრ-სახელმწიფოს მიერ დაფუძნების თავისუფლების შეზღუდვა გამართლებულია, თუკი მოცემული შეზღუდვა არადისკრიმინაციულია და ამასთან მისაღწევ მიზანთან მიმართებაში პროპორციული (მაგ. სოციალური დაცვა; ეფექტური საგადასახადო კონტროლი).


დაფუძნების თავისუფლების განხორციელებაში და შინაარსის განსაზღვრაში უდიდეს როლს ასრულებს ევროპული კავშირის საბჭოს მიერ დირექტივების გამოცემა. საბჭო დირექტივებს გამოსცემს, რათა გამარტივებულ იქნას დამოუკიდებელი საქმიანობის დაწყება და განხორციელება. ასე მაგალითად, საბჭოს მიერ მიღებულ იქნა დირექტივები, რომლებიც გარკვეულ პროფესიათა (ექიმები, ფარმაცევტები, არქიტექტორები) რეგულირების ჰარმონიზაციას ისახავენ მიზნად. გარდა ამისა, მიღებულ იქნა დირექტივა, რომელიც უმაღლესი

სასწავლებლების დიპლომების აღიარების ვალდებულებას მოიცავს. ამასთან ეს დიპლომები მინიმუმ 3 წლიანი სწავლების საფუძველზე უნდა იქნან გაცემული.

იურიდიული პირებისათვის დაფუძნების თავისუფლების სრულფასოვანი გამოყენების მიზნით 1989 წლიდან არსებობს ახალი, ზეეროვნული, სამეწარმეო ფორმა: **ევროპული ეკონომიკური ინტერესთა გაერთიანება**, რომელიც იურიდიული პირია, რომელიც თვითონ მოგებას არ იღებს, რადგან იგი მისი დამფუძნებელი იურიდიული პირებისათვის მხოლოდ და მხოლოდ დამხმარე საქმიანობას ასორციელებს. მოცემული გაერთიანების დამფუძნებელი შეუზღუდავად არიან პასუხისმგებელნი. 2001 წლიდან არსებობს ახალი სამეწარმეო ფორმა: **ევროპული სააქციო საზოგადოება**.

## დაფუძნების თავისუფლების შეზღუდვის დადგენა

### შემადგენლობის დადგენა



## მომსახურების თავისუფლება

ევროპული კავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულება ითვალისწინებს მომსახურების სფეროს თავისუფლებას (56-ე მუხლი).

ევროპული კავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 57-ე მუხლის მიხედვით, მომსახურება, როგორც წესი, საფასურის გადახდის ასპექტს მოიცავს.

შესაძლებელია მომსახურების **3 ფორმა**:

- აქტიური: მომსახურების სფეროში დაკავებული პირი მიემგზავრება მეორე წევრ-სახელმწიფოში მომსახურების გაწევის მიზნით;
- პასიური: პირი მიემგზავრება მეორე წევრ-სახელმწიფოში, სადაც მას სურს რომ გაეწიოს მომსახურება;
- როდესაც მარტო მომსახურების ფორმა კვეთს საზღვარს.

ვინაიდან გადამწვევტია საზღვრის კვეთის მომენტი, გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ფორმებისა მომსახურების თავისუფლება მოიცავს ასევე იმ მომსახურებასაც, როდესაც მომსახურების გამწვევი და მომსახურების მიმღები ერთი და იმავე სახელმწიფოში არიან დაფუძნებული, თუმცა თვით მომსახურება საზღვრის გადაკვეთის მომენტს მოიცავს (მაგ. დანიური ტურისტული სააგენტო – დანიელი კლიენტები – სხვა სახელმწიფოში).

მომსახურების თავისუფლება მოიცავს ასევე ღონისძიებებს, რომელიც თვით მომსახურების მიწოდების მომამზადებელ ფაზას მიეკუთვნება (მაგ. რეკლამა), ასევე სხვა დაკავშირებულ უფლებებს (ქვეყანაში ყოფნის უფლება, მასალის, პერსონალის, ტრანსპორტის თანხლების უფლება და ა.შ.)

ნებადართულია მხოლოდ ის შეზღუდვა, რომლებიც საზოგადოებრივ უსაფრთხოების, წესრიგისა და ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება ან საჯარო სამსახურს შეეხება, ან თუკი არსებობს “საზოგადოების ინტერესების იმპერატიული საფუძვლები” (მაგ.: მომხმარებელთა დაცვა; გარემოს დაცვა; ინტელექტუალური საკუთრების დაცვა; საგადასახადო სამართლიანობა; ეფექტური საგადასახადო კონტროლის განხორციელება; დასაქმებულთა დაცვა; ეროვნული, კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის დაცვა; სასამართლო წყობილების დაცვა; კონკურენციის დაცვა; საგზაო უსაფრთხოება; მედიის მრავალფეროვნების უზრუნველყოფა).

შეზღუდვას შეიძლება წარმოადგენდეს არამარტო დისკრიმინაციული, არამედ არადისკრიმინაციული დებულებებიც.

**დაფუძნებისაგან განსხვავებით მომსახურებას დროებითი ხასიათი აქვს. მუშახელისგან განსხვავებით მომსახურების გამწვევი თვითდასაქმებულია.**

## კაპიტალისა და გადახდის თავისუფლება

კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება მოიცავს ქონების გადაადგილებას, რომელიც იმავდროულად ინვესტიციებს (ნივთობრივი კაპიტალი, ფულადი კაპიტალი) წარმოადგენს. რაც შეეხება ფულადი საშუალებების (ნაღდი ფული, საბანკო ანგარიშზე არსებული ფული, ჩეკი) ტრანსფერს, რომელიც საქონლის, პირების და მომსახურების გადაადგილების ფარგლებში მიღებული სარგებლის ასანაზღაურებლად ხორციელდება, იგი გადახდის თავისუფლების სფეროში შედის. იგივე ეხება იმ საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ტრანსფერს, რომელიც კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების ფარგლებში ხორციელდება.

საკმაოდ რთულია კაპიტალისა და გადახდის თავისუფლების გამიჯვნა სხვა თავისუფლებებისაგან. ასე მაგ.: უძრავი ქონების შეძენა მუშახელის მიერ მისი საცხოვრებლად გამოყენების მიზნით წარმოადგენს მუშახელის თავისუფალი გადაადგილების დანართს. მიმოქცევიდან ამოღებული ფულადი ნიშნების გადაადგილება კი ერთმნიშვნელოვნად საქონლის თავისუფალი გადაადგილების და არა კაპიტალის რეგულირების სფეროს მიეკუთვნება.

უფრო სპეციფიურია კაპიტალისა და დაფუძნების თავისუფლებების გამიჯვნის საკითხი. ასე მაგ.: უძრავი ქონების შეძენის ან პირდაპირი ინვესტიციების შემთხვევაში შესაძლოა სახეზე იყოს ორივე თავისუფლების კრიტერიუმების შესრულება. თუმცა თუკი დაფუძნების ელემენტი არ არსებობს (დაფუძნებისათვის მოცემული კაპიტალის ტრანსფერი აუცილებელი არ არის) და მხოლოდ ინვესტირება ხორციელდება, ასეთი საქმიანობა კაპიტალის გადაადგილების თავისუფლების მიერ იქნება დაცული.

ევროპული კავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 63-ე მუხლის მიხედვით, აკრძალულია კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების ყველა შეზღუდვა წევრ-სახელმწიფოებს შორის და ასევე წევრ-სახელმწიფოებსა და მესამე სახელმწიფოებს შორის (აკრძალვა არ ეხება 1993 წლის 31 დეკემბრამდე არსებულ შეზღუდვებს). მოცემული თავისუფლების მოსარგებლეა ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირი მოქალაქეობის მიუხედავად.

“დასონგილის” ფორმულის ანალოგიის შესაბამისად, კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვის აკრძალვა მოიცავს სახელმწიფოს ყველა იმ ქმედებას, რომელმაც შესაძლოა ფაქტიურად ან პოტენციურად, უშუალოდ ან ირიბად ხელი შეუშალოს წევრ-სახელმწიფოთაშორის კაპიტალის მოძრაობას.

ევროპული კავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 65-ე მუხლში მოცემულია შეზღუდვის გასამართლებელი შემდეგი საფუძვლები: შეზღუდვა, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რათა შიდასახელმწიფოებრივი საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის თავიდან აცილება მოხდეს; შეზღუდვა, რომელიც საჭიროა ადმინისტრაციული ან სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვებისათვის; შეზღუდვა, რომელიც მართლება საზოგადოებრივი წესრიგისა და/ან უსაფრთხოების საფუძველით.

გარდა ამისა, შეზღუდვის გამართლება შესაძლებელია ასევე “საყოველთაო ინტერესის იძულებითი მოთხოვნების” არგუმენტით (მაგ. კაპიტალის ბაზრის ფუნქციონირება, გამჭვირვალობა, აქციონერების დაცვა და ა.შ.). თუმცა ამასთან წევრ-სახელმწიფოს მიერ კაპიტალის გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა მისაღწევ მიზანთან მიმართებაში თანაზომიერი უნდა იყოს.